В течение нескольких лет продолжал работать над переводом «Витязя в тигровой шкуре» известный поэт и переводчик Н. Заболоцкий. Перевод он начал с вольной обработки (Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре. Пер. с груз. И для юношества обработал Н. Заболоцкий. М.-Л. «Детиздат», 1937). В дальнейшем Заболоцкий вдохновенно продолжал трудиться над поэмой Руставели, и только через 20 лет (после создания текста для юношества) он выпустил ее полный поэтический перевод. Первое полное издание поэмы в переводе Заболоцкого вышло под редакцией Симона Чиковани в Москве в 1957 г. Вскоре перевод появился в составе издания «Грузинская классическая поэзия в переводах Н. Заболоцкого» (Тбилиси, 1958. Т. I). Причем в основу перевода на этот раз легла более пространный редакция поэмы: в него включен финальный эпизод «Витязя», так называемый «Сказ об индо-хатайцах» (возвращение Таризла и Нестан-Дареджан в Индию и

изгнание хатайцев). Целью переводчика было сохранение в русском варианте наиболее характерных для Руставели стилистических приемов: «Весь сюжет, за малым исключением, я оставил без изменения. Всегда старался следовать внутреннему духу подлинника. При этом я не старался досконально подробно переводить, что необходимо для точного, академического перевода» – писал Н. Заболоцкий. По мнению специалистов, перевод Заболоцкого является наиболее читаемым благодаря тому, что Заболоцкий мог читать по-грузински, владел грузинским письмом и мог сам почувствовать ритмику стиха Руставели.

5) Перевод Ш. Нуцубидзе.

В 1941 году был напечатан новый перевод поэмы, который принадлежал академику Ш. Нуцубидзе (Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре. Поэма в стихах. Пер. с груз. Ш. Нуцубидзе. М., 1941). Этот перевод выгодно отличается от других русских переводов сравнительно большей близостью к оригиналу. Но как руствелолог, философ и историк общественно-политической и философской мысли древней Грузии, Нуцубидзе нередко предлагал интерпретацию стихов переводимого художественного памятника XII века применительно к собственному спорному пониманию той эпохи. Нуцубидзе в своем переводе не использует шестнадцатисложный стих, однако ему удается разграничить высокие и низкие стихи Руставели под названием «шайри»: в низком стихе используется женская рифма (иногда дактилическая), а в высоком стихе – мужская рифма. Низкие стихи по размеру также точно соответствуют оригиналу, а высокие стихи переведены пятисложными стихами.

Перевод Арчила Халваши.

А. Халваши (1935-2008) являлся автором публикаций по вопросам грузинского языка, литературы, этнографии и истории Грузии. Он также сочинял стихотворения и публиковал русские переводы произведений грузинских поэтов и писателей. Плодом его творческой и научной деятельности является двухтомный труд «Взгляд», изданный Батумским государственным университетом (Книга I, 2005 г., книга II, 2007 г.).

Бессмертная поэма Шота Руставели была для исследователя предметом особой заинтересованности. Первый руствелологический труд он напечатал в 1991 году. В дальнейшем последовали статьи, в которых исследуются особенности мировоззрения и поэтики Руставели, текст, идейно-тематические аспекты и художественный мир поэмы. Даже простой перечень названий статей создает четкое представление о широком круге руствелологических проблем, входящих в сферу исследовательских интересов А. Халваши: «Псевдоперсона Шота Руставели», «По поводу заглавия поэмы Руставели», «Когда была написана поэма», «Открытое письмо руствелологам», «В защиту одной строфы «Витязя в тигровой шкуре», «Крепость Каджети в поэме «Витязь в тигровой шкуре», «Кто зарифмовал сказ индо-хатайцев», «Религия в «Витязе в тигровой шкуре» и др.

«Витязь в тигровой шкуре» А. Халваши переводил почти 8 лет. Переводу одной строфы поэмы он часто уделял весь день. Он проделал огромную работу, которая от автора требовала эрудиции, энергии и терпения. Работу над переводом он закончил за несколько месяцев до смерти.

А. Халваши намеревался отредактировать свой перевод вместе с русскоязычным поэтом. К сожалению, он не успел осуществить окончательную редакцию. Поэтому мы печатаем перевод

почти в том виде, в каком оставил переводчик. По нашему мнению, благодаря несомненным достоинствам и новизне настоящая книга займет должное место среди многочисленных переводов «Витязя в тигровой шкуре» и будет способствовать популяризации поэмы.

Новый перевод «Витязя в тигровой шкуре», выполненный А. Халваши, выделяется следующими особенностями:

1. Впервые публикуется русский перевод полной редакции поэмы, которая сохранилась в рукописях XVI–XIX веков. Из предлагаемых в издании 2230 строф руствелологи лишь 1673 строфы считают аутентичными, принадлежавшими Шота Руставели. Оставшуюся часть они приписывают к поздним интерполяциям и продолжениям.

2. Поэма «Витязь в тигровой шкуре» впервые была переведена с полным соблюдением стихотворного размера оригинала. Произведение Руставели написано изящными, гибкими, звучными шестнадцатисложными стихами, известными под названием «шайри». Во избежание монотонности поэт пользуется двумя видами шайри, так называемым высоким (4+4+4+4) и низким (5+3+5+3 или 3+5+3+ 5 слогов). В обоих случаях главная цезура приходится на середину стиха (8+8). А. Халваши высокий шайри переводит высоким, а низкий шайри – низким.

В семейном архиве А. Халваши хранится перевод 300 строф, в которых не соблюден этот принцип. Идею перевести поэму с соблюдением стихотворного размера оригинала подсказал автору брат Владимир Халваши. Эту идею переводчик осуществил в своем полном переводе поэмы.

В «Витязе в тигровой шкуре» имеется единственная 993 [940] (775) двадцатисложная строфа, выполненная размером т. н. «пистикаури». А Халваши и в этом случае сохраняет метрическое соответствие и переводит строфу тем же двадцатисложным размером:

5+5+5+5	შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,
5+5+5+5	სამასი თავი სტავრა-ატლასი უხვმან, ნიადაგ მიუმცთარომან,
5+5+5+5	სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად არ მათმან საუარომან.
5+5+5+5	კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან.

5+5+5+5	Светлый, как солнце, стройный, как тополь лично сто тысяч золотых отсчитал,
5+5+5+5	Триста рулонов золотой ткани, – в счетах ошибок он не допускал, –
5+5+5+5	Еще пять дюжин лала-яхонта, и все, как данник, вместе завязал.
5+5+5+5	Взяв человека, это именье исключительно визирю послал.

В настоящей книге новый русский перевод поэмы печатается вместе с параллельным грузинским текстом. Именно так было задумано Арчилом Халваши издание текста, перевод которого опирается на академическое издание «Витязя в тигровой шкуре» (1988 г.) и четырехтомник «Варианты рукописей «Витязя в тигровой шкуре», отрезки I–IV, Тбилиси, 1960–1963.

В предыдущем издании «Витязя в тигровой шкуре» несколько мест основных строф грузинского текста, и большая часть вставок-приложений редактированы Арчилом Халваши. Русский перевод опирается именно на этот отредактированный текст, поэтому в данном издании в основном сохранено халвашевское прочтение как основных, так и вставочных строф и строф-приложений.

Русский перевод печатается в соответствии с отредактированным печатным текстом А.Халваши. В него мы внесли незначительные изменения.

Нумерация строф от 1 до 2230 принадлежит А. Халваши. Для полноты, а также с целью облегчения работы над текстом в грузинском оригинале в квадратных скобках указываем номер строфы, в соответствии с «вариантами рукописей «Витязя в тигровой шкуре». Например, 1936 [2052] означает, что 1936-му номеру строфы нашего издания в «Вариантах» соответствует 2052-ая строфа.

В русском переводе рядом с нумерацией А. Халваши в скобках указываем номера строф в соответствии с изданием 2009 года. Например, 1666 (1392) означает, что 1666-ой строфе нашего издания соответствует 1392 номер академического издания. Здесь же звездочками [***] отмечаем те строфы, которые были внесены в основной текст разных печатных изданий поэмы.

Рамаз Халваши

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქცია და მისი ახალი რუსული თარგმანი

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა ვახტანგ VI-მ 1712 წელს განახორციელა და ტექსტში მხოლოდ 1587 სტროფი შეიტანა¹, რითაც საფუძველი ჩაუყარა პოემის ე. წ. მოკლე რედაქციას. ხელნაწერებში „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების რაოდენობა გაცილებით მეტია. ყველაზე ვრცელი და დაუზიანებელი ნუსხა C³ (H-757, 1671 წ., გადამწერი გასპარ ბაღდასარაშვილი) 2126 სტროფისგან შედგება და გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის მიერ². უფრო ადრეულია აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ იოანე IX ავალიშვილის დაკვეთით შესრულებული ნუსხა C¹ (H-2074, XVI ს.-ის მიწურული), რომელიც 2029 სტროფს შეიცავს³. მოცულობით უფრო მცირეა ზაზა ციციშვილისეული ნუსხა B² (Q-1082, 1660-იანი წწ., გადამწერი თბილელი მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე), რომელსაც ვახტანგ VI-ის გამოცემა ემყარება: მასში წარმოდგენილია 1858 სტროფი, ანუ 271 სტროფით მეტი პოემის პირველ გამოცემასთან შედარებით.

ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. ხელნაწერთა უდიდესი ნაწილი (90 ნუსხა) მთლიანად ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს, ხოლო 23 (ე. წ. კომპილაციური რედაქციები და „არტანუჯული ვარიანტის“ ხელნაწერები) – ნაწილობრივ. „ვეფხისტყაოსნის“ 6 ხელნაწერი ემყარება პოემის მეორე (1841 წ.) გამოცემას, რომელიც 50 სტროფით ავსებს პირველ (ვახტანგისეულ) გამოცემას და 1637 სტროფს შეიცავს⁴.

ხელნაწერებში „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციებია წარმოდგენილი, რომლებიც ავთენტურ ტექსტთან ერთად მრავალ ინტერპოლაციას – გვიანდელ ჩანართს და დანართს სტროფებს შეიცავენ. დანართ სტროფებში სიუჟეტი გავრცობილია გაგრძელებათა ციკლებით, რომლებშიც გადმოცემულია პოემის მთავარი გმირების – ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილის შემდგომი ისტორიები. გაგრძელებათა ეს ციკლები „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“ 20 თავადაა წარმოდგენილი⁵:

ინდო-ხვარაზმელთა ამბავი: 1. ხვარაზმთა მეფისაგან ტარიელის ავადმყოფობის ცნობა და შიგა ჩამოდგომა (1868-1888); 2. ესმა ჰინდოთა მეფესა მოსვლა ხვარაზმელთა, ვაგლახ, შენ სოფელი! (1889-1898); 3. ხვარაზმ ხელმწიფისა და ინდოელთა ომი უტარიელთა და ინდოელთა დამარცხება (1899-1901); 4. გამარჯვება ხვარაზმთა ხელმწიფისაგან ჰინდუსტანის ლაშქართა ზედა (1902-1906); 5. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილთან და ფრიდონთან (1907-1929); 6. ავთანდილისა და ფრიდონისაგან კაცის გაგზავნა ტარიელთან მისვლის ცნობად – B¹, D¹ (1930-1935); 7. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისაგან ტარიელის შველად (1936-1946); 8. ავთანდილისაგან და ფრიდონისაგან წასვლა და ხვარაზმელთა ომი (1947-1959); 9. ტარიელის დიდის სწეულობისაგან გამრთელება და მორჩენა და ხვარაზმისაგან წასვლა – B¹ (1960-1969); 10. ხვარაზმისაგან ომის მოწადინება და თარა ვეზირისაგან ომის დაშლის რჩევა – B¹ (1970-1974); 11. თარა ვეზირისაგან ღამით გამოსვლის რჩევა და თავდასხმა ინდოელთა ზედა – B¹ (1975-1977); 12. აქა ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა (1978-2024).

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტფილისი, 1712.

² ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, თბ., 1956.

³ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედ. პ. მარგველაშვილი, თბ., 2005.

⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურდი, 1841.

⁵ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ოთხ ნაკვეთად, გამოსაცემად მოამზადეს: ს. ყუბანეიშვილმა – ნაკვ. I, ლ. კეკელიძემ – ნაკვ. II, მ. გუგუშვილმა – ნაკვ. III, ი. ლოლაშვილმა – IV), თბ., 1960-1963. სტროფების ნომრებს ყველგან ვუთითებთ ამ გამოცემის მიხედვით.

ტარიელისა და ავთანდილის ანდერძები, გმირთა სიკვდილი, ეპილოგი: 13. აქა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შვილს თანა – D³ D⁴ D⁵ (2024¹⁻¹⁸). ავტორი – XVII ს-ის II ნახევრის უცნობი ინტერპოლატორი; 14. ანდერძი ტარიელისი, ოდეს მიიგვალეობდა მის ჟმისა ნათქვამი (2025-2063). მათი ნაწილის (2050-2056) ავტორია ნანუა ციციშვილი; 15. აქა კიდევ ანდერძი და სოფლისა გმობა ტარიელისი და ნესტან-დარეჯანისა, ტფილელის იოსების ნათქვამი – B¹ (2063¹⁻³⁴). ავტორი – იოსებ თბილელი; 16. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა (2064-2069²); 17. ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ჟამსა სიკვდილისა მისისა (2070-2077). ავტორი – ნანუა ციციშვილი; 18. აქა კიდევ ანდერძი ავთანდილისა ჟამსა სიკვდილისასა (2078-2105). ავტორი – იოსებ თბილელი; 19. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა (2106-2110); 20. აქა ფრიდონისაგან ორგანვე მისვლა და ტირილი და მოთქმა (2111-2126¹).

„ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა შორის განიხილება, აგრეთვე, „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელიც 88 სტროფს შეიცავს (1780-1867) და ბეჭდურ გამოცემებში სამ თავადაა წარმოდგენილი: 1. „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“; 2. „ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა და ხატაელთ დამორჩილება“; 3. „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“⁶. „ინდო-ხატაელთა ამბის“ რუსთველისეულობა დღემდე რჩება დავის საგნად. ამის დასტურია პოემის ბოლოდროინდელი გამოცემები. მაგალითად, 2009 წლის აკადემიური გამოცემა „ინდო-ხატაელთა ამბითა“ და ეპილოგით სრულდება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის გამოცემაში კი „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტი დაბეჭდილია მათ გარეშე⁷.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ციკლები უკვე არსებობდა. სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი დამოუკიდებელი თხზულება – ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის (†1614) „ომიანიანი“ – „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ციკლების გაგრძელება. მისი ცენტრალური პერსონაჟია ომიანი – „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების, ტარიელისა და ავთანდილის, შვილიშვილი, რომელიც თავის ცოლს ბურნე-მელიქს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად პოემის გაგრძელებების შინაარსსაც უამბობს: „ტარიელის დასნეულება და ხვარამზელთ სისხლის ძებნად ავთანდილისა და ფრიდონისაგან მიშველება. ხვარაზმთ მეფისა ხელთ შეპყრობა და გამარჯვება. სოფლის წესითა ტარიელის სიკვდილი“⁸.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩანართ-დანართი პლასტებისადმი განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობდა შ. ნუცუბიძე, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ავტორისეული რედაქციის არსებობას. ამ ვარაუდის მიხედვით, რუსთაველის პოემის ძირითადი (პირველადი) ტექსტი გამსჭვალული იყო პანთეისტური მატერიალიზმის სულისკვეთებით და დაიწერა საქართველოში. ამის გამო ავტორი დასაჯეს. იგი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო და თავი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის შეეფარებინა, სადაც დაწერა ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი განწყობილების გამომხატველი სტროფები და პოემის ბოლო თავები (ინდო-ხვარაზმელთა ამბავი, გმირების ანდერძები, მათი გარდაცვალება). შ. ნუცუბიძის აზრით, მთლიანი „ვეფხისტყაოსანი“ 2006 სტროფისაგან შედგებოდა. პოემის მიმატებული თავების ტექსტი მკვლევარმა თავად თარგმნა და „მთლიანი ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი ალ. ბარამიძეს გადასცა სარედაქციოდ (სამწუხაროდ, შ. ნუცუბიძის თარგმანი დღემდე არ გამოქვეყნებულა). აქვე დავსძენთ, რომ რუსთველოლოგები შ. ნუცუბიძის აღნიშნულ თვალსაზრისს არ იზიარებენ და პოემის ხელნაწერებში დადასტურებულ ასეულობით სტროფს გვიანდელი ინტერპოლაციების პლასტებს განაკუთვნიებენ.

⁶ შ. ონიანი, ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში, თბ., 1982.

⁷ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პოემის ახალი რედაქცია მოამზადა კ. მარგველაშვილმა, რედ. ა. არაბული, თბ., 2013.

⁸ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ომიანიანი, გამოსაც. მოამზადა ლ. კეკელიძემ, თბ., 1979, გვ. 108.

„ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ადრეული ინტერპოლაციები სარგის თმოგველსა და ვინმე მესხ მელექსეს ეკუთვნის. შემდგომი დროის ინტერპოლატორები: ნანუჩა (იგივე მანუჩარ ციცი-შვილი), თბილისის მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე და გასპარ ბაღდასარაშვილი – XVII საუკუნის მოღვაწეები იყვნენ. პოემის ბოლო ინტერპოლატორი გიორგი თუმანიშვილი კი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა.

„ინდო-ხვარაზმელთა ამბავი“ დამოუკიდებელ მთლიანობას ქმნის თავისი პროლოგითა და ეპილოგით, სადაც აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ამ ციკლს გააჩნდა თავისი არქექტიპი, რომლის ავტორი სარგის თმოგველი იყო:

„ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჭმით მგონეთა,
გალექსვა აკლდა ხვარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა,
მნელია პოვნა, გული ჰკრთა, დავვარდი, დავეღონეთა,
კვლავე ვთქვი, ლექსი გაემართე, მოსმენით გაიგონეთა“ (1869).

„აწ. გონიერო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით:
ბველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით.
სარგის დაურჩა უთქმელად მას ესე დავაბარენით.
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით“ (1870).

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,
აგრეც თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად;
ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მიზრმანა, თუ: „ლექსად თქვიო, მჭევრ-ქართულად, დაუშრობლად“ (2024).

ბ. დარჩიამ ყურადღება მიაქცია სიტყვებს „დაურჩა უთქმელად“, „დარჩომოდა“ (ასევე, გა-მოთქვამს „ნარჩომი ამბავნი“ და ა. შ.) და სარგის თმოგველი „ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ ლექსნარევი პროზაული ტექსტის ავტორად მიიჩნია⁹. პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ სარგის თმოგველს ეკუთვნის „ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ პროზაული ვერსია, რომელიც XIV საუკუნის მეორე ნახევარში უცნობ ინტერპოლატორს თავისი სიუჟეტის ბრძანებით გაულექსავს¹⁰.

„ინდო-ხატაელთა ამბის“ პროზაული თუ ლექსნარევი არქექტიპები დაკარგულია ან საერთოდ არ არსებობდა. ასეა თუ ისე, სარგის თმოგველი ერთადერთი ცნობილი ავტორია, რომლის სახელსაც „ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ არქექტიპი უკავშირდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სარგის თმოგველი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ პირველ და ამავე დროს ავტორიტეტულ გადამგვასებად უნდა მივიჩნიოთ, რის გამოც უცნობი ინტერპოლატორი ცდილობს ამოეფაროს მის სახელს. 1992-ე სტროფის ვარიანტებში ნათქვამია კიდევ: „სარგის დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბრალენით“.

თმოგველთა საგვარეულოში (XII-XIV სს.) სახელი სარგისი ორჯერ გვხვდება. სარგის I მხარგრძელი-თმოგველი (XII-XIII სს.) რუსთაველის თანამედროვეა. თ. ბაგრატიონი მას მიაწერს „ვისრამიანის“ შესანიშნავ ქართულ თარგმანს და დღეისათვის უკვე დაკარგული თხზულების „დილარგეთიანის“ ავტორობას¹¹. მისი შვილიშვილი სარგის II მხარგრძელი-თმოგველი რუსთაველის შემდგომი ეპოქის მოღვაწეა (XIII ს.-ის 30-60-იანი წწ.), რომელიც, ჟამთააღმწერ-

⁹ ბ. დარჩია, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებათა მიხედვით, თბ., 1975, გვ. 162-163 და შემდგომი.

¹⁰ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 36.

¹¹ თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 290.

ლის თქმით, იყო „კაცი ფილოსოფოსი და სწავლული და მრავალღონე“, „კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი“¹². სამწუხაროდ, სარგის II-ის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სწორედ ის იგულისხმება „ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ შესავალში.

სარგის II-ის შემდეგ თმოგველთა ფეოდალურ გვარში სახელი სარგისი ადარ გვხვდება, XIV საუკუნის დასაწყისში კი ეს საგვარეულო ჯავახეთიდან კახეთსა და შიდა ქართლში გადასახლდა¹³. სწორედ ამ ფაქტს გულისხმობს „ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ გამლექსავი, როცა თმოგველების მიერ თმოგვის დატოვებაზე საუბრობს:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,
აგრევ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად“ (2024).

ამკარაა, რომ ამ სტრიქონების ავტორი სამცხე-საათაბაგოს ლიტერატურულ წრეებს ეკუთვნის, განიცდის თმოგვის „დაობლებას“ (საიდანაც ნათლად იკვეთება მისი პოლიტიკური ორიენტაცია), აღიარებს სარგის თმოგველის ავტორიტეტს და გვაცნობს მის მიერ შეტანილ წვლილს (წერილობითს თუ ზეპირს) „ვეფხისტყაოსნის“ დანართების ჩამოყალიბებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩანართ სტროფებსა და გაგრძელებათა ციკლებში დასტურდება რამდენიმე სხვა მესხური რეალია (შანშე მხარგრძელისა და მაწყვერელი ეპისკოპოსის ხსენება, ვინმე მესხი მელექსე), რაც ცხადყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციების პირველი პლასტი – „ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ გალექსილი ვერსიისა და „გმირთა სიკვდილის ამბის“ არქტიპები სწორედ სამცხე-საათაბაგოში შეიქმნა¹⁴ მესხ არისტოკრატთა (თავდაპირველად, თმოგველებისა და მხარგრძელების, ხოლო შემდეგ ჯაყელთა) კარზე. „გმირთა სიკვდილის ამბის“ თავდაპირველი რედაქცია რომ „ვინმე მესხი მელექსის“ შეთხზულია, ამაზე პირდაპირაა მითითებული ფსევდორუსთველურ ეპილოგში:

გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა (2121).

„ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ გამლექსავი ანონიმი მესხი ინტერპოლატორი რუსთაველს საერთოდ არ ახსენებს და მხოლოდ სარგის თმოგველის სახელით აპელირებს, „ვინმე მესხი მელექსე“ კი თავის თავს რუსთაველის გამგრძელებლად და მიმბაძველად აცხადებს (შდრ.: „სარგის დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბრალენით“). სწორედ ამგვარი აზრი დევს „ვინმე მესხი მელექსის“ სიტყვებში: „მე რუსთველისა დამისა“ (ასევე, მის ვარიანტებში: „რუსთველისა და მისა“, „რუსთავისა დამისა“, „რუსთავლისა დამისა“, „რუსთაველის დაბისა“, „რუსთველისა თემისა“ და ა. შ.).

„ვინმე მესხი მელექსე“ და, ზოგადად, ანონიმი მესხი ინტერპოლატორები თავიანთ სახელსა და გვარს გვისაიდუმლოებენ, მაგრამ დაუფარავად წარმოაჩენენ თავიანთ პოლიტიკურ ორიენ-

¹² ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 191, 217.

¹³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, 2005, 218-227.

¹⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 366-367; ა. ზარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 480; ბ. დაჩია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.

ტაციას და ხელშესახებ ისტორიულ-ქრონოლოგიურ მინიშნებებს (ორიენტირებს) გვიტოვებენ ტექსტში, რითაც შესაძლებელი ხდება „ვეფხისტყაოსნის“ მესხური ინტერპოლაციების დათარიღება. ყველა ნიშნის მიხედვით, მათი წარმოქმნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XIV საუკუნის პირველი ნახევარია, როცა „თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად“.

ამ პერიოდსა და ამავე გარემოშია დაწერილი ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატთანე“, რომელსაც უშუალოდ ეხმიანება უცნობი მესხი ინტერპოლატორის ცნობილი ტაეპი:

„მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი“ (42).

როგორც გარკვეულია, აქ იგულისხმება ზაქარია მხარგრძელის ძე – მანდატურთუხუცესი შანშე (†1261), რომელსაც ქალაქი ანისი მისმა ბიძამ – ივანე ათაბაგმა გადასცა მფლობელობაში: „ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშესდა, მანდატურთუხუცესისათვს“¹⁵.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩანართ-დანართების ადრეული პლასტების გაჩენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1516 წელია, როცა მაწყვერელი ეპისკოპოსის გავლენასა და სამცხის სეპარაციას წერტილი დაესვა, მზეჭაბუკ ათაბაგმა მესხეთი საბოლოოდ აღიარა მცხეთის კათალიკოსის სამწყსოდ და ხელი მოაწერა დოკუმენტს „მცხეთის ეკლესიის ძუელთაგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხის მთავარნი და სოფელნი“. მანამდე არსებულ ვითარებას კარგად ასახავს ჯაყელთა კართან დაახლოებული უცნობი მესხი ინტერპოლატორის მიერ „ინდო-ხატაელთა ამბავში“ შეტანილი სიტყვები:

„მაგრა ექმნეს სულის-მღებლად, კათალიკოს-მაწყვერელად“ (1795).

კ. კეკელიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ გამოთქმა „კათალიკოს-მაწყვერელი“ სეპარატისტული სულისკვეთებითაა აღბეჭდილი: „აქ მაწყვერელი და კათალიკოსი დაპირისპირებულნი არიან, როგორც სწორუფლებიანი და სწორპატივიანი იერარქები. მამასადაძემ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ, როდესაც ეს ადგილი იწერებოდა, სამცხის ეკლესია უკვე ფორმალურად და საბოლოოდ იყო ჩამოშორებული მცხეთის ეკლესიას და მის სრულუფლებიან გამგედ, როგორც მცხეთაში კათალიკოსი, ითვლებოდა უკვე მაწყვერელი“¹⁶.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტში (მათ შორის, „ინდო-ხატაელთა ამბავში“) შეტანილი ინტერპოლაციების ნაწილი და გაგრძელებათა (ინდო-ხვარაზმელებისა და გმირთა სიკვდილის ამბების) არქეტიპები შეთხზული უნდა იყოს სამცხე-საათაბაგოში XIV-XVI საუკუნეების განმავლობაში (1516 წლამდე) „ვინმე მესხი მელექისა“ და სხვა მესხი ინტერპოლატორების მიერ.

1516 წლამდე მესხეთში განვითარებულ ლიტერატურულ თვითნებობაზე სხვა ფაქტებიც მეტყველებენ. სამცხის სეპარაციის პერიოდში „გადაამუშავეს“ და ინტერპოლაციებით „შეავსეს“ ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ავტორიტეტული ტექსტი „ანდრია პირველწოდებულის მიმოსლვა“. სეპარატისტული სულისკვეთებით ინტერპოლირებული ტექსტი XVIII ს.-ში თითქმის უცვლელად შეიტანეს „ახალ ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ნუსხაში. თეიმურაზ

¹⁵ ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 169.

¹⁶ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 366.

ბაგრატიონი, „ახალი ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებისაგან განსხვავებით, კრიტიკულად მიუდგა მესხურ ლიტერატურულ ტრადიციას, მაგრამ თავადაც გამოიჩინა ტენდენციურობა ლიტერატურული წყაროების გადამუშავების დროს და ანდრია პირველწოდებულის მისიონერულ მარშრუტში სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიული სახელების ნაცვლად აფხაზეთისა და ქართლ-კახეთის ტოპონიმები შეიტანა¹⁷.

ანალოგიური ბედი ეწია „ვეფხისტყაოსანსაც“. მესხეთში განვრცობილი ტექსტი ახალი ინტერპოლაციებით შეავსეს ქართლ-კახეთში მოღვაწე მწიგნობრებმა, თეიმურაზ ბაგრატიონმა კი ვახტანგ VI-ის კვლად უარი თქვა პოემის ჩანართებსა და გაგრძელებებზე, თვით შოთა რუსთაველის მესხურ წარმომავლობაშიც ეჭვი შეიტანა და ზედწოდება რუსთველი // რუსთაველი დაუკავშირა ჰერეთის რუსთავს (ბოსტან-ქალაქს): „რუსთაველი იყო მთავარი რუსთავისა. რუსთავი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა... ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ბოსტან-ქალაქი, ესე არს ჰერეთისა, ესე იგი გარე-კახეთის მამული“ – წერს იგი¹⁸.

„ვეფხისტყაოსნის“ განვრცობის მეორე – აღმოსავლურ-ქართულ პერიოდი XVI საუკუნის პირველი მეოთხედის შემდეგ იწყება, როცა სერაპიონ საბაშვილ-კედელაურს უკვე თარგმნილი ჰქონდა „როსტომიანი“, რომელსაც დიდი ზეგავლენა მოუხდენია „ინდო-ხვარაზმელთა ამბავზე“¹⁹.

ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლურ-ქართული პერიოდიდან ცნობილი ერთ-ერთი პირველი ინტერპოლატორი – „ქართლის თავადთაგანი“ ნანუჩა ეკუთვნოდა ციციშვილთა ფეოდალურ გვარს, რომელიც მესხური წარმომავლობისა იყო. მკვლევარები ნანუჩას, იმავე მანუჩარ ციციშვილს (XVII ს.-ის პირველი ნახევარი) მიაწერენ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ნაწილში შეტანილ 70 სტროფს (42-43, 46, 50, 57, 60, 69, 74, 94, 97, 100, 120, 123, 125, 153, 158, 165, 167, 170, 177, 189, 191, 200, 202, 208, 219, 251, 254-255, 272, 286, 289, 302, 306, 316, 321, 331, 345-347, 349, 356, 360-362, 408, 459-462, 464, 470, 506-507, 520, 540, 542, 570-571, 575, 810-811, 857, 882, 1033, 1034, 1526, 1532, 1540, 1598) და 16-სტროფიან „ავთანდილის პირველ ანდერძს“ (2070-2078, 2050-2056), რომელსაც რამდენიმე ხელნაწერი ნანუჩას შეთხზულად აცხადებს²⁰: „ანდერძი ავთანდილისა ჟამსა სიკვდილისასა, ნანუჩას ნათქვამი“ – B⁷; „ნანუჩას ჩამატებული მას უკან“ – B¹; „ნანუჩას ნათქვამი“ – B¹⁰ B¹³ C⁶.

ასევე ციციშვილთა საგვარეულოსთან არის დაკავშირებული B¹ (Q-1082) ხელნაწერი. მისი პირველი მფლობელი იყო ნანუჩას სიძე – სარდალი ზაზა ციციშვილი. ამ ნუსხის გადამწერს – იოსებ თბილელს (1620-1688) სათანადო აღნიშვნები (ნ, ნა, ნან...) გაუკეთებია ზაზა ციციშვილის სიმამრის მიერ შეთხზული ჩანართი და დანართი სტროფებისათვის.

გარდა ამისა, იოსებ თბილელს თავადაც შეუთხზავს ინტერპოლაციები და „ვეფხისტყაოსნის“ ამავე ნუსხაში შეუტანია 67 ახალი სტროფი:

¹⁷ რ. ხალვაში, ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათუმი, 2011, გვ. 57-129.

¹⁸ თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით გამოკვლევითა და სამიუზეუმით, თბ., 1960, გვ. 36.

¹⁹ ა. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის „პლასტების“ დათარიღებისათვის // თსუ მოამბე, IX, 1929, გვ. 120-130. შ. ონიანის აზრით, „როსტომიანისა“ და „ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ ნათესაობა იმდენად დიდია, რომ სცილდება გავლენის საზღვრებს და შეიძლება ამ უკანასკნელის ავტორადაც სერაპიონ საბაშვილი ვივარაუდოთ (შ. ონიანი, ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში, გვ. 100).

²⁰ გ. არაბული, ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ, თბ., 1983, გვ. 17-32.

1) „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში ჩართული 6 სტროფი (37¹⁻³, 551¹, 1139¹, 1268¹)²¹.

2) „ტარიელის მესამე ანდერძი“ („აქა კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, ტფილელის იოსების ნათქვამი“ – (2063¹⁻³⁴).

3) „ავთანდილის მეორე ანდერძი“ („აქა კიდევ ანდერძი ავთანდილისა ჟამსა სიკვდილისასა“ – 2078-2105). B⁷ ხელნაწერის მიხედვით: „თბილელის იოსების ნათქვამი“; B¹ ხელნაწერის მიხედვით: „ტფილელის იოსების გამოთქმული“).

„ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორია ამავე პერიოდში მოღვაწე ცნობილი კალიგრაფი გასპარ ბაღდასარაშვილი, რომელსაც გადაუწერსხავს C² (Q-779, 1660-იანი წწ.) და C³ (H-757, 1671 წ.) ხელნაწერები. ს. ცაიშვილი მის ინტერპოლაციად მიიჩნევს 26 სტროფს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ C² ხელნაწერშია წარმოდგენილი²²:

- 179 – ჩანგსა ჰკრავს პირ-მზე ავთანდილ...
- 250 – ტარიას ძებნად ავთანდილ...
- 275 – მკვდარი მოაქვთ ხატელთა...
- 276 – აქ ხატელთა ძმა მოჰყავს...
- 654 – აქ მეფე არჩევს, ვაზირობს...
- 661 – აქ საწოლს მჯდომი ტარიელ...
- 705 – აწ გაუცუდდეს ფარსადანს...
- 715 – შავმანსაწყალმანსამათმან...
- 731 – ნესტან-დარეჯან ქაჯთ მისცა...
- 732 – მზე დაუკარგა სოფელსა...
- 744 – ფრიდონ მოყმე დაკოდილი...
- 746 – აქ ტარიელ შეეყრების...
- 808 – დევნი დახოცნა ტარიელ...
- 841 – მოვიდა პირ-მზე ავთანდილ...
- 869 – მონა ხელს უდგამს ავთანდილს...
- 870 – ნუთუ ვარგო რა მას ხელსა...
- 926 – მეფე სკამს ესერის ვაზირსა...
- 959 – საწოლს ზის პირ-მზე ავთანდილ...
- 1048 – აქ დაბნედილი ტარიელ...
- 1049 – დაწვი შეჰქნია ზაფრანად...
- 1301 – უყურეთ ბოზსა დიაცსა...
- 1612 – ქაჯეთს მიუხდეს საომრად...
- 1613 – ფრიდონ შეუტყვა, ეს იყო...
- 1748 – რომ გენახნესოთხნივ ერთად...
- 1749 – აბა ეს არის ლხინი და...
- 1750 – ქორწილი ავთანდილისა...

ბაღდასარაშვილის ჩანართი სტროფები მეტყველებენ, რომ ინტერპოლატორები განსხვავდებოდნენ როგორც პოეტური „ოსტატობით“ და სტილის თვალსაზრისით (სტროფის აღწერითი წინადადებებით აგება და ზმნიზედებით დაწყება: „აქ“, „აწ“), ასევე ენობრივი კომპეტენციითაც („აბა ეს არის ლხინი და, თუ გინდა, ერთა ჭამება“)²³.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ბოლო ინტერპოლატორის, ცნობილი პოეტისა და მეცენატის – გიორგი თუმანიშვილის (1774-1837) გალექსილია 17 სტროფი, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. არტანუჯულ ვარიანტშია ჩართული (122¹, 216¹, 519¹, 698¹, 735², 1711¹ და 1779¹⁻¹¹). ბოლო

²¹ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957, გვ. 116.

²² ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 222-223.

²³ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 223.

ჩანართში (1779¹⁻¹¹) გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ინდოეთში მისვლა, ფარსადანის დატირება და ინდოელთა ზეიმი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაბრუნების გამო, რაზეც ვახტანგისეული გამოცემა ძუნწად მოგვითხრობს²⁴. ამ ეპიზოდის გ. თუმანიშვილისეულობაზე მეტყველებს ბარბარე ქობულაშვილის მინაწერი H-1079 ნუსხაში: „ეს თერთმეტი ლექსი გიორგი თუმანოვის ნათქვამია და ძალიან მსგავსი ამ ვეფხისტყაოსნისა“²⁵.

მ. კარბელაშვილი ჩანართ-დანართების პლასტებს რეცეფციული ესთეტიკის ჭრილში განიხილავს და დასძენს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორები ამავე დროს პოემის პირველი ინტერპრეტატორები და შემფასებლები არიან, პოემის ჩანართ-დანართებში ჩანს მათი შემთხვევლების უშუალო რეაქცია სიუჟეტის ამა თუ იმ პერიპეტიაზე, ინტერპოლატორთა დამოკიდებულება სხვადასხვა პერსონაჟის მიმართ, მხატვრულ სახეთა თავისებური აღქმა, გულწრფელი პიროვნული განცდების დაფიქსირებისა და პოემისათვის საკუთარი დასასრულის შეთხზვის სურვილი, მომავალ მკითხველთან კონტაქტის დამყარების მცდელობა, პოემაში აღძრულ საკითხთა სამართლებრივი და მორალურ-ეთიკური შეფასება²⁶.

ა. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორთა ორ ტიპს გამოყოფს: ერთი ტიპის ინტერპოლატორები კეთილშობილური მიზნებით მოქმედებდნენ და „გულუბრყვილოდ, მაგრამ გულწრფელად“ ცდილობდნენ დროთა განმავლობაში შერყვნილი ტექსტის შესწორებას და შევსებას; მეორე რიგის ინტერპოლატორები – „ვეფხისტყაოსნის“ მოძულენი ებრძოდნენ პოემას, „ცდილობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ შიგნიდან აღებას, შინაგან გაყალბებას“²⁷. ამ უკანასკნელთა შორის მკვლევარი ასახელებს კლერიკალურად განწყობილ ინტერპოლატორს, რომელმაც პოემას „პასქვილური სტროფი“ წარუმიძვარა, რითაც იწყება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ყველაზე ძველ და საუკეთესო ხელნაწერებში (A⁹, A¹⁰, B¹, B⁸, B¹⁰, B¹⁰, C¹, C³, C⁴, D¹, D⁵ და H-1836):

პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმოთ „ვეფხისტყაოსნობით“, არსსა შეიქს ხორც, არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამეზასა ერთ-არსულად,
თუ უყურა მონაზონმან, შეიქნებისგაპარსულად (1).

ს. ცაიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ განვრცობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რუსთაველის პოემისადმი სიყვარულსა და დაინტერესებას მიიჩნევს²⁸. ამავე მკვლევარს ინტერპოლატორთა საქმიანობის ნიშანდობლივ მაგალითად მოჰყავს დავით ჩოლოყაშვილის ორი სტროფი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის „სრულქმნისთვის“ ყოფილა გამიზნული:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ მონებდეს?
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ველად რებდეს,
მაშ ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰყევდეს!...

ნეტარ მას ვინცა შენს ახლოს, შენ მხოლოსათვის ოხრევდეს,

²⁴ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 326-336.

²⁵ ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 80-83.

²⁶ მ. კარბელაშვილი, „ხვარაზმელთა ამბავი“: ვეფხისტყაოსნის ერთი კოლიზიის სამართლებრივი და ეთიკურ-მორალური შეფასება // ლიტერატურული მივანი, XXXII, 2011, გვ. 34.

²⁷ ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 68.

²⁸ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 5.

ხმისა შენისა სმენითა ყურსა ატკობდეს, ალხენდეს -
 ზოგჯერ ბალახშთა თვისადმი საამოდ მღიმრად ხედავდეს:
 ხან ვარდთა ყნოსით სთვრებოდეს, ხან ეკლით განიფხიზლებდეს.

თ. ბაგრატიონის მოწმობით, დ. ჩოლოყაშვილი ამბობდა, რომ ნესტან-დარეჯანთან შეხვედრის დროს ტარიელის მიერ წარმოთქმული სიტყვები („აწ რასაცა მე მაღირსებ, ხორციელი არა ღირსა“ – 554) არ იყო სიტუაციის შესაფერისი და მას სატროფოსთვის სწორედ „ასე უნდა ეთქვაო“²⁹. როგორც ჩანს, დ. ჩოლოყაშვილის ამ წამოწყებას ეხმიანება ალ. ჭავჭავაძის ლექსის „სიყვარულო, ძალსა შენსა“ მეორე და მესამე სტროფები, თუმცა ამ პოპულარული ლექსის აღნიშნული ვერსიები ვეღარ მოხვდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, რადგან მალე პოემის მასობრივი ტირაჟებით ბეჭდვა დაიწყო.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართებისა და გაგრძელებების დაწერას ინტერპოლატორები იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს რუსთაველის პოემას აკლდა მხატვრული სრულყოფილება, სიუჟეტური და ლოგიკური მთლიანობა და მორალურ-ეთიკური თანმიმდევრულობა. სინამდვილეში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამახინჯება, ინტერპოლაციებისა და პოემის გაგრძელებების შექმნა გვიანდელი ავტორების (ეფებოსების) რუსთაველთან პოეტური შეჯიბრების ნაყოფია, რასაც ემსხვერპლა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ახალგაზრდობა, მშვენიერება და სიცოცხლე. ამგვარი ქვეცნობიერი აგრესიით და გავლენის შიშითაა ნაკარნახევი „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართებისა და გაგრძელებათა ციკლების შექმნა, რითაც ინტერპოლატორები ხშირ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ რევიზიასა და რუსთაველის „შეცდომების“ გასწორებას ისახავდნენ მიზნად.

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ რედაქციაში ჩანართი და დანართი სტროფების რიცხვი 650-ს აღემატება. მათი ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ 4-ტომულში, რომელსაც საფუძვლად დაედო ს. ყუბანეიშვილის გამოცემა: „ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით“ (1956 წ.).

არჩილ ხალვაშის წინამდებარე რუსული თარგმანი „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებს“ ემყარება. ახალ რუსულ თარგმანში შევიდა „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციის 2230 სტროფი.

თარგმანში არ არის შეტანილი 4 თავი, რომლებსაც ხელნაწერები იოსებ თბილელსა და ნანუქას მიაკუთვნებენ – სულ 78 სტროფი:

- 1) იოსებ თბილელის მიერ შეთხზული „ტარიელის მეორე ანდერძი“ (2063¹⁻³⁴);
- 2) მისივე, „ავთანდილის მეორე ანდერძი“ (2078-2105);
- 3) ა. ხალვაშს ტესტში ასევე არ შეუტანია „სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა“ (2064-2069, 2069¹⁻²), რომელიც მას, როგორც ჩანს, იოსებ თბილელისეულად მიუჩნევია B¹ ხელნაწერის შენიშვნაზე („ამას შუა ტფილელის ნათქვამია“) დამყარებით.
- 4) რუსულ თარგმანში ვერ მოხვდა, აგრეთვე, ნანუქა ციციშვილის „ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ჟამსა სიკვდილისა მისისა“, კერძოდ, 2070-2077-ე სტროფები.

აღსანიშნავია, რომ C³ ნუსხა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ ემყარება, ნანუქას მიერ გალექსილი „ანდერძის“ რამდენიმე სტროფს (2050-2056) „ტარიელის ანდერძის“ ნაწილად წარმოგვიდგენს, ხოლო 2078-ე სტროფს – ავთანდილის მეორე ანდერძის („აქა კიდევ ანდერძი ავთანდილისა ჟამსა სიკვდილისა“) ნაწილად, ამიტომ ისინი შევიდა პოემის

²⁹ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 28.

ახალ რუსულ თარგმანში. ა. ხალვაშს ასევე უთარგმნია ნანუჩას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში ჩართული 70-ვე სტროფი.

აღნიშნულის გარდა, ა. ხალვაშის თარგმანში ვერ მოხვდა 6 ფრაგმენტი, რომლებსაც ხელნაწერებში ვარიანტები არ მოეპოვება და ამის გამო მათი აღდგენა შეუძლებელია (მათ შორის სამი სტროფი (37¹⁻³) ეკუთვნოდა ი. სააკაძეს):

37¹ – ვერვინ ხელყოს შესაფერ...

37² – მიჯნურნო, ხედავთ, რუსთველი თუ როგ...

37³ – მელექსეთ აწვრთნის, ნუ ცდილობ...

473¹ – [იგი უებ]რო მნათი რა იქს სარ...

473² – [.....] დიდნი...

510¹ – [.....] ების აჯილა, ამბავიც მოაქეს ზარება...³⁰

ა. ხალვაშს ასევე უთარგმნელად დაუტოვებია სხვა 13 სტროფი, რომელთაგან ერთი (744) აღმურანთ ბაღდასარაშვილი გასპარას გალექსილია:

698¹ – მე შინა წაველ მმრავლობდეს, სევდისა რაზმთა ურვანი

735² – შევიჭურვე, ჩემთან ჩემნი მოემზადნენ ასნი ზრდილნი

740¹ – თომა მოგვითხრობს ქადაგი, ინდოეთს მოვიარენით

744 – ფრიდონ მოყმე დაკოდილი შავს ზის, მოვა ზღვა-ზღვა ცურვით

1567¹ – მიუხდეს, ჯოგი წაუსხეს, დალეწეს ჩიხი და ღობა

1840¹ – ტახტსა ზედა ერთად მსხდომი ტარიელ და ცოლი მისი

1866 – ფრიდონცა ესვა მოყვარედ, მათ წინა მიიყვანინან (შდრ.:2024*)

1886 – ხვარაზმშით გამოემართა რევანოზ მეფის შვილიო

1912 – გვერდსა მიისვეს მწერალი, მთქმელ-გამამრჩევი ენათა

1989¹ – შეიქმნა ომი ფიცხელი, ხელმწიფის დროშა მართია (თარგმნილია მისი ვარიანტი: 1988)

1992¹ – სიკვდილი ახლოს იხილა დიდმან ხვარაზმთა მფლობელმან

2024* – ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჯანთან (შდრ.: 1866)

2024** – ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს (თარგმნილია მისი ვარიანტი: 1867)

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“ წარმოდგენილი 2326 სტროფიდან და ფრაგმენტიდან ა. ხალვაშს უთარგმნელად დაუტოვებია 96 სტროფი და ფრაგმენტი, რომლებიც წინამდებარე წიგნში ცალკე დანართის სახით შევიტანეთ.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტს, 2009 წლის აკადემიური გამოცემის 1673 სტროფიდან³¹ ა. ხალვაშის თარგმანში შეტანილია 1672 სტროფი, 1866-ე სტროფის („ერთმანეთისა მეშველთა...“) გარდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პოემის ძირითადი ტექსტი ყველაზე ვრცელია კონსტანტინე ჭიჭინაძის (1934 წ.) რედაქციაში, რომელიც 1745 სტროფს შეიცავს³². აკადემიურ გამოცემებში კი სტროფების რიცხვი ცვალებადია: 1957 წლის გამოცემაში 1669 სტროფია³³, 1966 წლის გამოცემაში

³⁰ „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართად მიჩნეული ერთ-ერთი ფრაგმენტი „[.....] მას გვერდით ცხენი უბია [.....]“ (იხ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, გვ. 722 (სტრ. 1347¹) სინამდვილეში „შაჰ-ნამეს“ სტროფია (2656): „ზურაბ კულა ჰკითხავს ამბავსა, ვით იადონი მგოსანი: / „ვისია მწვანე კარავი, სპა-ჯარი ჭარმაგოსანი, / მას გვერდით ცხენი უბია, ვით პილო საგდებლოსანი, / კაცი ლაშქართა უმაღლე, ტახტი უთქს პატიოსანი“. „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებიდან“ ასევე ამოღებულია 824¹ და 824² ნომრებით წარმოდგენილი ფრაგმენტები, რომლებშიც 818-ე და 815-ე სტროფების სხვადასხვა ნაწყვეტებია შეერთებული ხელნაწერის რესტავრაციის დროს დაშვებული შეცდომის გამო (იხ. „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, გვ. 1228, შენიშვნა).

³¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (მე-100 ქართული გამოცემა), თბ., 2009.

³² შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, თბ., 1934.

³³ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (სარედაქციო კოლეგია: ა. ხარაშიძე, ვ. კვეციანი, ა. შანიძე), თბ., 1957.

– 1598 სტროფი³⁴, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის 1988 წლის გამოცემაში – 1666 სტროფი³⁵, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის გამოცემაში – 1543 სტროფი (მასში ამოღებულია „ინდო-ხატაელთა ამბავი“ და ეპილოგი)³⁶. ფაქტობრივად, კ. ჭიჭინაძისეული გამოცემა შეიცავს ყველა იმ სტროფს (გარდა ზემოაღნიშნული 1866-ე სტროფისა), რომლებიც ერთხელ მაინც იყო შეტანილი ამა თუ იმ ბეჭდურ, მათ შორის აკადემიურ გამოცემაში. მათგან 1988 წლის გამოცემაში შევიდა და 2009 წლის გამოცემაში ვერ მოხვდა სამი სტროფი:

„ყმამან უთხრა: «დაო ასმათ...“ (309)

„ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა...“ (436)

„ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხი...“ (1089)

2009 წლის გამოცემაში რუსთველისეულად იქნა მიჩნეული და ძირითად ტექსტში დამატებით შევიდა შემდეგი 10 სტროფი, რომლებიც არ იყო შეტანილი 1988 წლის გამოცემაში:

37 (26) „მას ცოცხალი ნუ ელევს...“

105 (69) „მეფე ლაღი და წყლიანი“

138 (87) „მეფემან ბრძანა: „ვინ არის...“

187 (118) „როსტანს სიტყვა ასულისა...“

403 (277) „მისი მძებნელი იყომცა...“

934 (718) „საწოლს მჯდომიან პირსა ცემით...“

987 (769) „ყმამან უთხრა: «შენთვის წყრომა...“

988 (770) „მოახსენა კვლა ვაზირმან...“

1666 (1392) „ყოვლგნით მრგვალი, შეუვალი...“

როგორც ითქვა, ა. ხალვაშმა თარგმნა ბეჭდურ გამოცემებში შეტანილი ყველა სტროფი, ერთადერთი გამონაკლისის – 2009 წლის გამოცემის 1667-ე (1866) სტროფის გარდა:

ფრიდონცა ესვა მოყვარედ, მათ წინა მიიყვანიან;

ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჯანიან;

მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწები ააკვანიან,

ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი აგულვანიან.

როგორც ჩანს, მთარგმნელმა ამ შემთხვევაში ბეჭდურ გამოცემებში დამკვიდრებული ტრადიცია გაიზიარა, რადგან 1866-ე სტროფი ვახტანგ VI-ისგან მოყოლებული უკანასკნელ პერიოდამდე არ შეჰქონდათ პოემის ძირითად ტექსტში³⁷. ა. ხალვაშს არც ამ სტროფის ვარიანტი – 2024* უთარგმნია:

ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჯანიან;

ორთავე მტერი მოყვარედ მათ წინა მიიყვანიან;

მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწები უაკვანიან,

ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი აგულვანიან.

³⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966.

³⁵ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1988.

³⁶ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 2013.

³⁷ ეს სტროფი არც კ. ჭიჭინაძის გამოცემაშია შეტანილი. გამონაკლისია ს. კაკაბაძის გამოცემები: 1913 წ. – 1609, 1926 წ. – 1548 (შ. ონიანი, ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში, თბ., 1982, გვ. 214).

თარგმანში უკანასკნელი აკადემიური გამოცემის (2009 წ.) შესაბამის ადგილას გამოტოვებულია, აგრეთვე, 724-ე (887) სტროფი:

ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა;
 ბაგეთათ გასჭვირს ბროლ-ლალი, მათ კბილთათ ელვა ჰკრთებოდა.
 ღირსნი ახლოს სხდეს, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა,
 უტარიელოდ ხსენება არვისგან იკადრებოდა.

მაგრამ ამ შემთხვევაში თარგმნილია მოცემული სტროფის ვარიანტი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერშია წარმოდგენილი:

ყმა ახლოს უჯდა მეფისა, ისმენდა, ეუბნებოდა;
 ბაგეთათ გასჭვირს ბროლ-ლალი, მათ კბილთა ელვა ჰკრთებოდა.
 ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა
 უტარიელოდ ხსენება არვისგან იკადრებოდა (845¹).

Юноша сидел близ царя молвил, вопросы задавал,
 Из губ багряных виднелись зубы белые, как хрусталь,
 Рядом сидели вельможи, а дальше толпой люд стоял,
 Без «Тариела» говорить никто среди них не дерзал.

განსაკუთრებით რთული სამუშაო ჩაუტარებია მთარგმნელს პოემის გაგრძელებათა ტექსტზე (1990-2230 სტროფები). პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ა. ხალვაშს გაუმართავს ინტეპოლატორთა ნახელავი სტროფები, შეუმუშავებია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების კრიტიკული ტექსტი, შემდეგ კი უთარგმნია იგი.

თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ ერთ მაგალითს. „ვარიანტებში“ 1903-ე სტროფი ასეა დაბეჭდილი³⁸:

ტარიელს წინა მივიდეს ჰინდონი ხრმალ-დალეწილნი,
 გაქცეულ-გარდახვეწილნი, შიშითა გაწბილნებულნი,
 აბჯარ ახდილნი, დამრცვილნი, ტან-სარო შემოფრეწილნი,
 ცხენ-დადგომილნი, მტირალნი, დაგლეჯილ-პირ-დახოჭილნი.

ა. ხალვაში ამ სტროფის კრიტიკულად დადგენის დროს ითვალისწინებს შემდეგი ნუსხების კითხვასხვაობებს:

- ა. ჰინდონი] **ინდონი** A², A³, A⁸, A⁹, A¹⁰, B¹, B², B⁵, B⁶, B⁷, B¹⁰, B¹¹, B¹³, D¹, D², D³, D⁴, D⁵;
 ბ. გარდახვეწილნი] **გაწბილნებულნი** A⁹, A¹⁰, B¹, B², B³, B⁵, B⁶, B¹⁰, B¹¹, B¹³, D¹, D³, D⁴, D², D⁵;
 გაწბილნებულნი] **გარდახვეწილნი** A⁵, A⁸, B¹, B², B³, B⁵, B⁶, B⁷, B¹⁰, B¹¹, B¹³, D¹, D², D³, D⁴, D⁵.
 გ. ტან-სარო] **ტანსაცა** D³, D⁴, D⁵.

შედეგად კი ვღებულობთ სტროფის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს:

ტარიელს წინა მივიდეს **ინდონი** ხრმალ-დალეწილნი,
 გაქცეულ-**გაწბილნებულნი**, შიშითა **გარდახვეწილნი**,

³⁸ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, IV, თბ., 1963, გვ. 1057.

აბჯარ-აბდილნი, დამრცვილნი, ტანსაცა შემოფხრეწილნი,
ცხენ-დადგომილნი, მტირალნი, დაგლეჯილ-პირდახოჭილნი.

ამგვარი სამუშაო ნაწილობრივ შესრულებული ჰქონდა ს. იორდანიშვილს, თუმცა მის გაცემულ ტექსტში არ არის ბოლომდე გამართული. მაგალითად, განხილულ სტროფს მკვლევარი ამგვარი სახით ბეჭდავს:

ტარიელს წინა მივიდეს ინდონი ხრმალ-დალეწილნი,
გაქცეულ-გაწილებულნი, შიშითა გარდახვეწილნი,
აბჯარ-აბდილნი, დამრცვილნი, ტან-სარო შემოფრეწილნი,
ცხენ-დადგომილნი, მტირალნი, დაგლეჯილ პირ-დახოჭილნი (გვ. 49).

ცხადია, რომ ვარიანტებიდან „ტან-სარო შემოფრეწილნი“ და „ტანსაცა შემოფხრეწილნი“ უპირატესობა უკანასკნელს უნდა მიენიჭოს, რადგან ინტერპოლატორი აქ საუბრობს დაფხრეწილ ტანისამოსზე და არა კვიპაროსივით სწორ სხეულზე.

ჩანართებისა და გაგრძელებების ტექსტის დადგენისას ა. ხალვაში იცავს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ შემუშავებულ პრინციპს, მაქსიმალურად არიდებს თავს კონიექტურებს და უპირატესობას ხელნაწერთა ვარიანტებს ანიჭებს, რათა ტექსტმა არ დაკარგოს ქართული ენის ისტორიული ძეგლის მნიშვნელობა.

გ. თუმანიშვილის მიერ გალექსილ სტროფებს ა. ხალვაში ადგილს უცვლის და 1779⁷⁻¹¹-ე სტროფები, რომლებიც მხოლოდ H-1079 ხელნაწერშია (1823 წ.) წარმოდგენილი, ერთი თავიდან („ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა“) მეორეში – ინდო-ხატაელთა ამბავში“ გადააქვს 1953-1957-ე სტროფებად, „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილის“ წინ:

მოვიდეს სრულნი ინდონი, ტარიელს ესალმოდინ,
ფერხთა და ხელთა ჰკოცნიდეს, ცრემლითა უსურვოდინ,
ნესტან-დარეჯანს ვით ვარდსა ბულბულებრ გარ ეტრფოდინ,
იგ დიდებითა დიდითა მათ მეფეთ წინ უძლოდინ.

მივიდნენ ქალაქს, შეიქმნა ხშირად საკრავთა ტკბილობა,
მოქალაქეთა შეექმნათ ქვე სტავრათ დაფენილობა,
აყრიდეს ზედა თვალ-გოჭარს, არვის აქვს მოწყენილობა.
სრასა შევიდნენ; დედოფალს თვალთათ ჰსჩანს ცრემლის ნილობა.

მაშინ ყოვლთა მეფისათვის აატირეს გული ჩვილი,
მოსთქვეს: „გმირი სიუხვისა, ვა, მოგვმორდა ნილოს-ქმნილი!“
ტარიელცა ცრემლსა აფრქვევს, – მისგან იყო ტკბილად ზრდილი:
„დავკარგეო მზისა სწორი, მომდგომია ბნელი ჩრდილი“.

დედოფალი გარდებვია მათ ორთავე თვისსა შვილთა,
აკოცებს და ეუბნების გულ-სადებთა სიტყვა ტკბილთა:
„ვა, გიმუხთლათ საწუთრომან თქვენ ედემის ალვა-ზრდილთა,
ნუღარ ჰსწუხხართ, აწ დასხედით მეფობისა ტახტ-ადგილთა“.

მიუძღვა და ტახტსა დასხნა, ერთობილნიულოცვიდეს,
დედოფალსა სხვასა ტახტსა შემკობილსა ცალკე სმიდეს,
ავთანდილს და ფრიდონს მრავლად უსასყიდლოს ძღვენსა ძღვნიდეს,
შეჰქმნეს სმა და სიხარულით მათ შებანი განადიდეს (1779⁷⁻¹¹).

გ. თუმანიშვილის ინტერპოლაციის წინა ნაწილს (1779¹⁻⁶) ა. ხალვაში თავის ადგილას ტოვებს, „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობის“ ამბის წინ.

გ. თუმანიშვილის მიერ გალექსილი სხვა სტროფებიდან ა. ხალვაშს ტექსტში არ შეუტანია 699-ე სტროფის მონაცვლე 698¹ სტროფი: „მე შინა წაველ მმრავლობდეს, სევდისა რაზმთა ურვანი“, რომელიც, ა. ბარამიძის შენიშვნით, „მართლაც ავსებს ვახტანგისეული გამოცემის ხარვეზს“³⁹. H-1079 ხელნაწერის ჩანართი სტროფებიდან ა. ხალვაშს ტექსტში ასევე არ შეუტანია 735²-ე სტროფი: „შევიჭურვე, ჩემთან ჩემნი მოემზადნენ ასნი ზრდილნი“. სამაგიეროდ, ტექსტში შეტანილი და თარგმნილია H-1079 ხელნაწერში ჩართული შემდეგი სტროფები:

- 39¹ – რათგან კაცსა სიყვარული საყვარლისა ვერ ეთმობის
- 122¹ – როსტევან სჭვრეტდა მას ყმასა, გლახ, დიდად განკვირვებული
- 216¹ – შენცა იცი, თინათინის სხივი მზესა უაღრესობს
- 519¹ – რა პურობა გარდვიხადე, დარბაზს მიველ მხიარული
- 1711¹ – მუნით როსტან მოეგება, არ ჰყოფს ზრდილობის კლებასა
- 1779¹ – მუნით გაგზავნეს ინდოეთს კაცნი ამბავთა მცნეველად

ვახტანგ VI-ის შემდგომდროინდელი ხელნაწერებიდან ა. ხალვაშს ტექსტში შეუტანია და უთარგმნია სხვა სტროფებიც, რომელთა უმეტესი ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. არტანუჯულ ვარიანტშია (S-4732) წარმოდგენილი:

- 11¹ – ხარ თმათა მისთა სადარო, სულნელებისა იაო (H-743)
- 860¹ – ყმამან ჰკადრა: „ვინ მიენდოს კაცსა ცრუსა, დაუნდობელს! (S-4732)
- 1397¹ – აწ მოგახსენო ამბავი, წაყვანა მისი ვისაგან (S-4997)
- 1454¹ – კვლაცა უთხრა: «გაიხარჯე, რაცა შენგან შეიძლების (S-4997)
- 1470¹ – კვლაცა უთხრა: «შენცა მხედავ, სადა ვზივარ სადაური (S-4997)
- 1477¹ – შენცა სთხოვე: ნუ წამოვა ჩემად სამებრად აქეთა (S-4997)
- 1585¹ – მათ არჩივს, ვითა უნდათ, ერთმანერთსაუბნობდნიან (S-4997)
- 1585² – მო და მოვეყვით თათბირისა ყოვლმან თავის გამორჩევით (S-4997)
- 1658¹ – საქორწილოდ ამზადებდნენ მათ ქალ-ყმათა მზისა დართა (S-4997)
- 1658² – მუნ მრავალნი სათამამო სანახავი ცეცხლოსანი (S-4997)
- 1687¹ – მივლენ უცხოს შექცევითა, რაც უნდა უხაროდა (S-4997)
- 1687² – მივიდოდეს სიხარულით გზათა შინა, რაცა უნდა (S-4997)
- 1698¹ – მუნითგან ვლეს შექცევითა, რომე მეტი არ იქნების (S-4997)

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი S-4997 (1837 წ.) პეტრე ლარაძეს ეკუთვნოდა და გადაწერილია დავით რექტორის კუთვნილი H-1079 ხელნაწერიდან.

ა. ხალვაშს რამდენადმე განსხვავებული სამუშაო ჩაუტარებია 1931-1936 სტროფებზე, რომლებიც შემდეგი თანმიმდევრობით დაულაგებია: 2052 (1936), 2053 (1934), 2054 (1931), 2055 (1932), 2056 (1933), 2057 (1935).

გვაქვს ამგვარი შემთხვევაც: თარგმანში ერთი და იმავე სტროფის ვარიანტები ორი სხვადასხვა ვერსიითაა წარმოდგენილი. ასეთია, მაგალითად, წინამდებარე გამოცემის 1543-ე და 1578-ე სტროფები:

- 1543: „შვენებითა არსთა მზე ხარ ქვეყანისა არეული.
- ბროლ-ბალახში, მოწ-გიშერი, პირ-გავსილი მთვარეული,

³⁹ ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 84.

აღვის მორჩი, ცისკრის ვარდი, მუშკ-სურნელი ამბრეული.
 ნუ დასჭნები, წამ-ერთ მოვა ღმრთის წყალობა ადრეული“.

შდრ.: «Ты есть солнце, патрон мира, возвысилось над всей землей.
 Хрусталь, рубин, коралл, агат, ты сравнима с полной луной,
 Тополевый росток стройный, мускат лучший, запах благой.
 Не увядай, милостыню скоро даст Бог вышний, живой».

1578: ყმამან უთხრა: „არსთა მზე ხარ ქვეყანისა არეული,
 მუშკ-ამბარი, ლალ-გიშერი, მარგალიტი თან რეული,
 იაგუნდი, ცისკრის ვარდი, პირ-გავსილი, მთვარეული,
 მოიცადე, წამ-ერთ, მოვა ღმრთის წყალობა ადრეული.

შდრ.: «Раб сказал ей: «Ты есть солнце, светящее над всей страной,
 Амбра, мускус, рубин, агат с жемчугами, слиток сплошной,
 Утренняя роза, яхонт, выглядишь ты полной луной,
 Потерпи чуть, Бог даст милость, не оставит тебя одной».

აღსანიშნავია, რომ 1578-ე სტროფს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ არ იცნობს. მსგავსი კითხვასხვაობები არც 1543 (1465) სტროფის ვარიანტებშია წარმოდგენილი. როგორც გაირკვა, ეს სტროფი ა. ხალვაშს აუღია ს. იორდანიშვილის წიგნიდან „ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი“, რომელიც, თავის მხრივ, ს. კაკაბაძის გამოცემას (1913 წ., სტრ. 1261²) ემყარება⁴⁰.

ერთი და იმავე სტროფის ვარიანტებია ასევე 791¹-ე და 1542-ე სტროფები, რომლებსაც ა. ხალვაში ორი სხვადასხვა თარგმანით წარმოგვიდგენს:

791¹: ტარიელ, გვითხარ სიმღერა მაგ ხმითა მოგვრინავითა,
 არ გვიყოს ღმერთმან სამუდმოდ ცა რისხვით მოგვრინავითა,
 ნუ არის გული ნიადაგ ლახვართა მოგვრინავითა;
 ამ ჩემსა სულსა ზღვას შევრთავ, მზესა შინ მიგვრი ნავითა.

Тариел пой нам песенку своим плачевным голоском,
 Не дай бог с неба над нами нависнет вечно гневный гром,
 Не надо держать сердечко всегда под мечом и огнем,
 Мы души с морем сольем, но солнышко тебе привезем.

1542: ტარიელ, მითხარ სიმღერა, მო, ხმითა მოგვრინავითა:
 ამ ჩემსა სულსა ზღვას შევრთავ, მზესა შინ მოგვრინავითა.
 სულ ქაჯთა პირქვე დავამხოზ გველებრივ მოგვრინავითა,
 თუ ჩემი მოსლვა გრძნებისა მოვალ და მოგვრი ნავითა.

Спой мне песенку, Тариел, своим громовым голоском:
 Сольюсь с морем, но верну солнцевидную тебе в дом,
 Каджей положу лицами вниз, их удавлю целиком,
 Привезу ее на лодке, я лично стану сам волхвом.

⁴⁰ ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი, თბ., 1948, გვ. 35-36, სტროფი: 1310².

როგორც თავად ამბობდა, ა. ხალვაშმა „ვეფხისტყაოსნის“ სრული რედაქციის თარგმანი მიუძღვნა ყველა იმ ადამიანს, ვინც პოემის გადარჩენისთვის ზრუნავდა: ზეპირად სწავლობდა ტექსტს, ქმნიდა ახალ ნუსხებს და მინიატურებით ამკობდა ხელნაწერებს, ზოგჯერ ამახინჯებდა და ინტერპოლაციებით განავრცობდა „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ, რაც მთავარია, ინახავდა და თაობებს გადასცემდა ამ უნიკალურ შედეგს.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ა. ხალვაშისეული თარგმანი ორი მთავარი სიახლით გამოირჩევა:

1. პირველად ქვეყნდება „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციის რუსული თარგმანი. გამოცემაში წარმოდგენილი 2230 სტროფიდან რუსთველოლოგები ავტორისეულად მხოლოდ 1673 სტროფს მიიჩნევენ, პოემის დანარჩენ ნაწილს კი განაკუთვნიებენ ჩანართი და დანართი ინტერპოლაციების პლასტს.

2. „ვეფხისტყაოსანი“ პირველად ითარგმნა რუსთველური სალექსო საზომის, ე. წ. „შაირის“ – 16-მარცვლოვანი საზომის დაცვით. „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით შაირის ორ ფორმას: მაღალ შაირს, რომელიც შედგენილია ოთხმარცვლიანი მუხლებისაგან (4+4/4+4) და დაბალ შაირს, რომელიც შედგენილია სამ და ხუთმარცვლიანი მუხლების მონაცვლეობაზე (5+3/5+3 ან 3+5/3+5). ა. ხალვაში მაღალ შაირს რუსულადაც მაღალი შაირით თარგმნის, ხოლო დაბალ შაირს – დაბალი შაირით.

„ვეფხისტყაოსანში“ ერთადერთი 940-ე სტროფია 20-მარცვლიანი ფისტიკაურით შესრულებული. ა. ხალვაში მეტრულ შესატყვისობას ამ შემთხვევაშიც იცავს და სტროფს თარგმნის იმავე, 20-მარცვლიანი საზომით:

5+5+5+5	შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,
5+5+5+5	სამასი თავი სტავრა-ატლასი უხვმან, ნიადაგ მიუმცთარომან,
5+5+5+5	სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად არ მათმან საუარომან.
5+5+5+5	კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან.
5+5+5+5	Светлый, как солнце, стройный, как тополь лично сто тысяч золотых отсчитал,
5+5+5+5	Триста рулонов золотой ткани, – в счетах ошибок он не допускал, –
5+5+5+5	Еще пять дюжин лала-яхонта, и все, как данник, вместе завязал.
5+5+5+5	Взяв человека, это именье исключительно визирю послал.

წინამდებარე გამოცემაში „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტის რამდენიმე ადგილი, ხოლო ჩანართ-დანართი სტროფების დიდი ნაწილი რედაქტირებულია ა. ხალვაშის მიერ. რუსული თარგმანი სწორედ ამგვარ, რედაქტირებულ ტექსტს ემყარება, ამიტომ გამოცემაში, ძირითადად, ვინარჩუნებთ ა. ხალვაშისეულ წაკითხვებს, როგორც ძირითად, ისე ჩანართ და დანართ სტროფებში. იმ შემთხვევებში კი, როცა ესა თუ ის წაკითხვა არ ცვლიდა სტროფის შინაარსს, უპირატესობა მივანიჭეთ აკადემიურ გამოცემებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი სტროფები გასწორებული გვაქვს 1988 წლის გამოცემის მიხედვით (გათვალისწინებულია 2009 წლის აკადემიური გამოცემაც), თუმცა რამდენიმე შემთხვევაში ტრადიციული ორთოგრაფიაა შენარჩუნებული: კომპოზიტებს ვწერთ დეფისით, იოტს (დ) კი საერთოდ არ ვიყენებთ, მათ შორის, არც შორისდებულებებში.

რუსულ თარგმანს ვბეჭდავთ ა. ხალვაშის მიერ კორექტირებული, კომპიუტერზე აკრეფილი ბეჭდური ტექსტის მიხედვით, რომელშიც შევიტანეთ უმნიშვნელო ცვლილებები. გარდა ამისა, ჩვენ საშურ საქმედ მივიჩნიეთ და ვთარგმნეთ აკადემიური გამოცემის 1667-ე სტროფი (1866), რომელიც ა. ხალვაშის თარგმანში ვერ მოხვდა:

И Фридон был для них другом, почасту он был с ним рядом;
Собравшись вместе, победу одерживали над врагом:
Для непокорных земной прах стал вечной люлькой и гробом,
Неверным руки сломали, верных сделали храбрым.

ფრიდონცა ესვა მოყვარედ, მათ წინა მიიყვანთან;
ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჯანთან:
მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწები აკვანთან,
ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი აგულვანთან.

ქართულ და რუსულ ტექსტებში სტროფების ნუმერაცია 1-დან 2230-მდე არჩილ ხალვაში-სეულია. სისრულისათვის ქართულ ტექსტს კავებში (კვადრატულ ფრჩხილებში) დავურთეთ სტროფის ნომრები „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვერიანტების“ მიხედვით. მაგალითად, 1936 [2052] აღნიშნავს, რომ ჩვენი გამოცემის 1936-ე სტროფს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვერიანტებში“ შეესაბამება 2052-ე სტროფი.

რუსულ თარგმანში ა. ხალვაშისეულ ნუმერაციას ფრჩხილებში მივუწერეთ სტროფების ნომრები 2009 წლის გამოცემის მიხედვით. მაგალითად, 1666 (1392) აღნიშნავს, რომ ჩვენი გამოცემის 1666-ე სტროფი ბოლო აკადემიურ გამოცემაში შეტანილია 1392 ნომრით. აქვე ვარსკვლავებით (***) აღვნიშნეთ ის სტროფები, რომლებიც ვერ მოხვდა აკადემიურ ტექსტში, მაგრამ შეტანილი იყო სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემაში.

რამაზ ხალვაში

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ხელნაწერები*

- A¹** [α] – ახალციხური ფრაგმენტი (XVII ს-ის დასაწყისი), 2 ფურცელი, შეიცავს 24 სტროფს.
- A²** [E] – H-599 (1646 წ.), ლევან დადიანისეული. გადაწერილია მამუკა თავაქარაშვილის მიერ. შეიცავს 1831 სტროფს.
- A³** [R] – Q-930 (XVII ს.), ე. წ. „გურგენასეული“. შეიცავს 465 სტროფს.
- A⁴** [Z] – W-27 (XVII ს.), ელენე თარხან-მოღრავესეული. ინახება ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში. შეიცავს 1536 სტროფსა და 21 მინიატურას.
- A⁵** [N] – S-3077 (XVII ს.), დაზიანებული, შეიცავს 543 სტროფს.
- A⁶** [S] – H-3249 (XVII ს.), 1-ფურცლიანი ფრაგმენტი, შეიცავს 8 სტროფს.
- A⁷** [P] – S-1418 (XVII ს-ის II ნახევარი), ხელნაწერი კრებული, რომელშიც „ვეფხისტყაოსანს“ უჭირავს 10 ფურცელი. შეიცავს 86 სტროფს.
- A⁸** [A'] – K-383 (XVII ს-ის მიწურული), კონსტანტინე ბაქრაძისეული. შეიცავს 1475 სტროფს.
- A⁹** [F] – S-2829 (1688 წ.), პაპუნა ბებურიშვილისეული. შესრულებულია D³ ნუსხის გადაწერის მიერ. შეიცავს 1846 სტროფს.
- A¹⁰** [I] – Q-261 (XVII ს-ის დასასრული), ხოვლეისეული. შესრულებულია B⁸ ნუსხის გადაწერის მიერ. შეიცავს 1794 სტროფს.
- A¹¹** [Y] – H-740 (XVII–XVIII სს.), თინათინ კეხელისეული. შეიცავს 1203 სტროფს.
- A¹²** [R'] – საქ. ლიტ. მუზ. ხელნაწერი № 12904/190. გადაწერილია ბირთველ თუმანიშვილის მიერ (1802 წ.). შეიცავს 1658 სტროფს.
- A¹³** – Q-1075 (XIX ს.).
- B¹** [D] – Q-1082 (1660-იანი წწ.), ზაზა ციციშვილისეული. გადაწერილი – იოსებ სააკაძე. შეიცავს 1858 სტროფს.
- B²** [L] – A-363 (XVII ს-ის II ნახევარი), თავბოლონაკლული. შეიცავს 1315 სტროფს.
- B³** [Q] – K-215 (XVII ს.). დაზიანებულია. შეიცავს 428 სტროფს.
- B⁴** [C'] – S-1675a (XVII ს-ის II ნახევარი), 2-ფურცლიანი ფრაგმენტი, შეიცავს 16 სტროფს.
- B⁵** [H] – H-2610 (XVII ს-ის დასასრული), პოლიექვტოვ კარბელაშვილისეული. შეიცავს 1963 სტროფს.
- B⁶** [G] – S-4988 (XVII ს-ის დასასრული), ილია ჭავჭავაძისეული. შეიცავს 1991 სტროფს.
- B⁷** [V] – H-3061 (XVII ს.), გადაწერილია გივი თუმანიშვილის მიერ. შეიცავს 2006 სტროფს.
- B⁸** [U] – S-5006 (XVIII ს.-ის I ნახევარი), სოლომონ მეფისეული. შეიცავს 2036 სტროფსა და 87 ილუსტრაციას.
- B⁹** [O'] – Q-799 (1770-იანი წწ.).
- B¹⁰** [F'] – S-4527. გადაწერილია ესოვ ბეგთაბეგოვის – C⁴ ნუსხის გადაწერ ბეგთაბეგის შვილიშვილის მიერ (1805 წ.). შეიცავს 2074 სტროფს.
- B¹¹** [Q'] – საქ. ლიტ. მუზ. ხელნაწერი № 10768 (XIX ს-ის I ნახევარი), ივანე კუკავასეული. შეიცავს 1932 სტროფს.
- B¹²** [I'] – H-412 (XIX ს-ის დასაწყისი). შეიცავს 1359 სტროფს.
- B¹³** [L'] – საქ. მეცნ. აკად. ბიბლ. აკ-25299/2 (1860 წ.), ვახტანგ ასლანიშვილისეული. შეიცავს 2082 სტროფს.
- C¹** [C] – H-2074 (XVII ს.-ის I ნახევარი). კათალიკოს იოანე ავალიშვილისეული. შეიცავს 2018 სტროფს და 3 მინიატურას.
- C²** [M] – Q-779 (1660-იანი წწ.), დავით მდივნისეული. გადაწერილია გასპარ ბაღდასარაშვილის მიერ. შეიცავს 1451 სტროფს.
- C³** [A] – H-757 (1671 წ.), ბეჟან წერეთლისეული. გადაწერილია გასპარ ბაღდასარაშვილის მიერ. შეიცავს 2126 სტროფს.
- C⁴** [B] – H-54 (1680 წ.), გიორგი XI-ისეული. გადაწერილი ბეგთაბეგ მარტიროზიშვილის მიერ. შეიცავს 2066 სტროფს.
- C⁵** [X] – P-10 (1702 წ.), ე. წ. „პარიზული“ ხელნაწერი, გადაწერილი ყაზანთ ბეჟოას ქალის მიერ. შეიცავს 1962 სტროფს.
- C⁶** [D'] – H-1839, გადაწერილი გლახუა ქუთათელაძის მიერ (1832 წ.). შეიცავს 2113 სტროფს.
- C⁷** – Q-1335 (XIX ს-ის I ნახევარი).
- C⁸** [E'] – Q-483 (1856 წ.). ელისე ჯიჯეიშვილისეული. შეიცავს 2015 სტროფს.
- D¹** [J] – H-461 (XVII–XVIII სს.), ბიძინა მაყაშვილისეული. შეიცავს 1967 სტროფს.
- D²** [T] – W-17 (XVII ს-ის დასასრული), მზეხათუნისეული. ინახება ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში. შეიცავს 1867 სტროფს და 48 ილუსტრაციას.
- D³** [K] – S-4499 (XVII ს-ის II ნახევარი), მიხეილ ნაკაშიძისეული. შეიცავს 1969 სტროფს.
- D⁴** [O] – K-205 (1680-იანი წწ.), ე. წ. „ქუთაისური“ ხელნაწერი, რაჟდენ დათეშიძისეული. შეიცავს 2011 სტროფს.
- D⁵** [G'] – Q-796 (XIX ს.), ანასტასია ქავთარაძისეული. შეიცავს 1978 სტროფს.

* ხელნაწერთა რედაქციულ ჯგუფებად (A, B, C და D) დაყოფა ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას. კვადრატულ ფრჩხილებში მიწერილია შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერები.

ვეფხისტყაოსანი

დასაწყისი

1 [1]

ქირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ „ვეფხისტყაოსნობით“, არსსა შეიქს ხორც, არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
და თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.

2 [2]

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერიითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიითა,
და მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა.

3 [3]

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,
და ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

4 [2¹]

შენ შეჰქმენ დავით მაღალი თვით მეფე დავითიანად,
გონება დიდად მონყალე, მართ ერთობ გულმონყლიანად.
მნათობი ყოვლთა მხედველთა, ვითა მთა სანათიანად,
და უმისოდ მზეცა ვერ ნათობს, ვერც ლომი არს ნაკვთიანად.

5 [2²]

გვირგვინი, ტახტი, პორფირი ღმრთისგან გვაქვს, სკიპტრა პირველი,
ერთგულთა დიდად მონყალე, ორგულთა რისხვით მჭირველი.
შენდა სამონოდ მეფენი მოვლენ სხვაგნითა მირველი,
და ხამს, თუმცა პაპი ჰრომისა, რომ შენთვის იყოს მწირველი.

6 [4]

ვის შვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის თამარისა, ღანვ-ბალახშ, თმა-გიშერისა, –
მას, არა ვიცი, შევმართო შესხმა ხოტბისა შე-, რისა?!

და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მი-, შერისა.

7 [5]

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული,
და ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ

ВВЕДЕНИЕ

1

Первый раздел. Он сочинен по-персидски, в ином слоге.
 Зовем: «Витязь в шкуре тигра», в котором все в плотском толке,
 Он, как мирской, не говорит о Троице, как о Боге,
 Если монах послушает, то будет сбрит он в итоге.

2 (1)

Который силой могучей создал мир, все, что видим здесь,
 Тот и дал жизнь всем существам, вдунув в каждого Дух с небес,
 Он предоставил нам Землю, полную красок и чудес,
 От Него всякий государь, носящий божий образ весь.

3 (2)

Боже единый, Ты создал все, что водится вокруг нас,
 Возьми под покров, дай мне мощь попать сатану, сечь зараз,
 Дай жить желаньем миджнуров, пока свет льется с моих глаз,
 Облегчи грехи, какие придется нести в смертный час.

4

Из Давидовых создал Ты величайшего Давида,
 Милосердие царское ему истинно привито.
 Стоял и стоит светилом, горою, светом залитой,
 Без него солнце не светит, лев лишен красоты и вида.

5

Первый жезл, престол и венец узаконены нам Творцом,
 Ты к верным людям милостив, на иных людей зришь с гневом,
 Ты будешь признан владыкой своим не одним королем.
 Римскому папе надлежит помянуть о духе твоём.

6 (3)

Льву, которому пристало и красят копьё, щит и меч,
 Солнца Тамары, носящей алых щек, черных кос меж плеч,
 Какую хвалу ей воздать, как эту хвалу мне наречь?!
 Взирать на нее то же, что к лучшим, отборным сластям влечь.

7 (4)

Хвалим царицу Тамару, слезы с кровию учащим,
 Я ей посвятил похвалы, что можно назвать не худшим,
 Взял вместо чернил пруд-агат, писал тростником я станным,
 Прорвутся они в глубь сердца клином преострым, не тупым.

8 [6]

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.
და გასტეხს ქვასაცა მაგარსა გვრდემლი ტყვივისა ლბილისა.

9 [7]

ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, –
ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწინვნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება;
და მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება.

10 [7¹]

შენ გევედრები, მაღალო, მცნობელო გულის ხმათაო.
მომეც ძალი და შეწევნა, უფალო უფლებათაო;
ჩვენ ქება გვინდა მათ გმირთა, მათ ფერად კადრებათაო.
და პირველად ტარიელისა და მერმე მისთა ძმათაო.

11 [8]

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
და აქამდის ამბვად ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი.

12 [9]

ტარიელს კარგსა მოყმესა, მკლავ-მაგარსა ძალიანსა,
პირად ვარდსა, ტან-საროსა, გული მისი რკინიანსა,
უხვს, უშურველსა-გამცემსა, ტკბილ-მოუბარსა წყლიანსა,
და მით ქება ნესტან-დარეჯანს რად ეთქმის პირად მზიანსა.

13 [10]

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქ საქმესა ამადარი:
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი;
დაუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
და ანუ მომცეს განკურნება, ანუ მინა მე სამარი.

14 [11]

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
და ჩემმან ხელ-მქმნელმან დამართო, ლაღმან და, ლამაზმანები.

15 [11¹]

ხარ თმათა მისთა სადარო, სურნელებისა იაო,
მომხედე შენთვის მტირალსა, თავი რას დაგიღიაო?
ზილფნი უმზგავსო ზუნბულსა, ძონსა აქვს კარი ღიაო,
და შიგ ოცდაოთხსა მარგალიტს უბია სამაიაო.

8 (5)

Мне повелели в честь ее сказать сладкий стих с похвалой,
 Воспеть ресницы и брови, косы-агаты за спиной,
 Белые зубы частые, наполненные красотой.
 На наковальне из свинца разбить и камень дорогой.

9 (6)

Теперь мне нужны: мастерство, желанье, порыв и язык,
 Мне нужна Твоя подмога, чтоб в мир разума я проник;
 Тем Тариелу поможем, – признать, он красив и велик, –
 Сошлись три славных героя, каждый для дружбы и возник.

10

Я Тебя молю, Всевышний, знатока людей, их сердец.
 Дай мне силу и поддержку, всех Властей Господь и венец;
 Мы хотим воспеть героев, как это может царь-певец.
 Но Тариела прежде всех, потом и других, наконец.

11 (7)

Сядем лить слезы без конца за любовь, дружбу, за их слуг,
 Кто с Тариелом сравнится, никого не зрим мы вокруг,
 Сел я, Руствели, дал в стихах сказ про его боль и недуг.
 Теперь он жемчуг отборный, не выпустите вы из рук.

12

Тариел – витязь достойный, сильный, приятный для взгляда,
 Чье лицо – роза, стан – тополь, сердце – железо, что правда,
 Не завистливый, щедрый, с ним разговаривать – услада,
 Нестан-Дареджан подобна солнцу, хвалить и не надо.

13 (8)

Я, Руствели, по безумью поступаю схоже сему:
 За ту, кому подвластна рать, бешусь, себя я не уйму;
 Я занемог, нет лекарства для миджнуров, что же приму,
 Пускай она лечит меня, иль даст вечный покой и тьму.

14 (9)

Этот персидский сказ редкий, грузины знают уж давно,
 Как сиротливый жемчуг, он ходит по рукам все нежно,
 Я его в стихи обратил, дивлюсь, – как это мне дано, –
 Она склонила, вместе с ней воспеть красавиц заодно.

15

Похож на ее пряди кос, ты, благовонный гиацинт,
 Плачу по тебе, а ты сник, почему принял такой вид?
 Бесподобные локоны свисают, коралл приоткрыт,
 В нем две дюжины жемчужин решили пляску наладить.

16 [12]

თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;
 აჰა, გული გამიჯნურდა, მიხვდომია ველთა რბენა!
 მიაჯეთ ვინ, ხორცთა დანვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა.
 და სამთა ფერთა საქებელთა ლამის, ლექსთა უნდა ვლენა.

17 [13]

რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
 მუშა მინყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
 კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
 და არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.

18 [14]

თუ მიჯნურსა მიჯნურობა ეტლად მომცა რადგან ბედმან,
 მე მით ვიცან საქმე მათი თავით ჩემით შენახედმან,
 სიტყვა კარგი გამოვაგო ლექს-მრავალმან, ენა-მეტმან;
 და შეიზომნეს ჭირნი მათნი ჭირთა ჩემთა მეათედმან.

19 [15]

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
 საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
 კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
 და გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

20 [16]

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
 მოზურთაღსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
 მართ აგრევე მელექსესა – საუბართა ტკბილთა ფრქვევა,
 და რა მისჭირდეს საუბარი და დაუნყოს ლექსმან ლევა, –

21 [17]

მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
 რა ველარ მიხვდეს ქართულსა, დაუნყოს ლექსმან ძვირობა,
 არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
 და ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

22 [18]

მე ვიკადრებ ლექსთა კარგთა, ვერავინ თქვას ჩემი ფერი:
 ცხელის ცრემლით ავატირო მე სოფელი ჩემი მტერი,
 ცა-ქვეყანა შევათავო, ვითა მინა გავამტვერი,
 და ამა ჩემმან საუბარმან შეაქციოს ყმა და ბერი.

23 [19]

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი;
 თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
 განალა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
 და მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

16 (10)

Я весь ослеп, снова б видеть, свет ей забран из глаз моих,
 Я влюбился, миджнуром стал, мой дом – поля, край гор пустых!
 Помогите, не сторгать же, чтоб малости порыв затих.
 Я готов трех девиц райских воспеть, льется струею стих.

17 (11)

Каждый должен строго жить тем, чем наделен своей судьбой:
 Работнику жить работой, воину бодро войти в бой;
 А миджнуру любить и знать, что охвачен ею одной,
 Чтоб он других не осуждал, а самого – миджнур другой.

18***

Мне, миджнуру, стать миджнуром, наделено судьбой, как рок,
 Потому в их дела проник, понимать их легко я смог,
 Выбрал слова приятные, я щедр в стихах, богат мой слог;
 Мое горе больше, чем их, в десять с лишним, я в счетах строг.

19 (12)

Поэзия – часть мудрости, – так считают с давнейших пор,
 Стихи – это божье слово, благодатных речей простор,
 Будет мило, коль устремишь к стихам свои: чутье и взор;
 Стихи дают мысли вкратце, те не терпят, если в них сор.

20 (13)

Долгий путь и перегоны покажут нам, какова конь,
 Каков игрок – лишь площадка, – то, как мячом владеет он,
 Каков поэт, скажут стихи, сочная речь – это закон,
 Коль откажет ему язык, погрузятся стихи вдруг в сон, –

21 (14)

Тогда и судить поэта, насколько он смел, шустер, лих,
 Не находя слов для стихов, затрудняется сложить их,
 Следует множить свой словарь, слов не уменьшать стиховых,
 Искусно владеть чоганом, быть в числе людей удалых.

22

Сложу стихи отменные, каких не все смогут слагать:
 Те предадут жарким слезам мир, что решил мне врагом стать,
 Столкну небо с землей, потом буду их же уничтожать,
 Пусть дивятся этим моим словам гордым и стар и млад.

23 (15)

За один, иль двое стихов, в круг поэтов я не приму;
 Считать себя лучшим из них, пусть не снится даже ему;
 Может, сложит один иль два – не по вкусу ни одному,
 Но воскликнет: «Мои лучше!», – не отступит, упрямя, как мул.

24 [20]

მეორე ლექსი ცოტაი – ნაწილი მოშაირეთა,
 არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა, –
 ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმანვილთა მონადირეთა:
 და დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

25 [21]

ამბავი წვრილად უამბოს, ზე სადმე არა წასთვალოს;
 ყოვლსა კაცსა ამეტებდეს, ჭირსა თავი არ აკრძალოს;
 ლექს-ქართული აღარიბოს, საუბარი არ ამრგვალოს,
 და ნახოს კარგმან გამგონემან, არა სადა არ აბრალოს.

26 [22]

მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად,
 სააშუიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
 ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
 და მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

27 [23]

მე გაამბობ, ვინცა იყვნეთ ხელობისა მოძებარი:
 სხვასა ყოვლგნით მოეშვენით, სოფლის ლხინად იგი კმარი;
 მათად საქმე ვერ ვამსგავსე, ვითა სპასა მეომარი,
 და ვისთა თვალთა ყოვლი თემი ერთად უჩანს, იგი ვარი.

28 [24]

ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
 ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშუიკობდეს,
 ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, –
 და მისგან კიდე ნურა უნდა, – მისთვის ენა-მუსიკობდეს.

29 [25]

ჩემი ან ცანით ყველამან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
 ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
 იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
 და მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

30 [26]

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
 ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
 იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
 და ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

31 [27]

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
 ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
 ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან;
 და მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

24 (16)

Второе: стихи краткие, что часть поэтов ввела в быт,
Они слов метко не свяжут, чтоб пронзить сердце и пробить,
Таких поэтов с юными охотниками и сравнить:
Не в силах крупных зверей бить, им только мелких истребить.

25

Описать все подробности, поверхностно не излагать!
В красноречье всех побеждать, от трудностей не убегать;
Писать стихи редкостные, речи своей не закруглять,
Толкователь, послушав их, чтобы не стал зло осуждать.

26 (17)

Хороши же третьи стихи, в пирах, играх они нужней,
Годятся и в любви, шутках, ими занять гостей, друзей;
Нам приятно то, что они выражают мысли ясней.
Поэтом лишь считать того, чьи стихи всех метче, длинней.

27

Говорю тем, кто желает владеть делом и ремеслом:
За все хвататься не надо, лучше думать лишь об одном;
Их дел сравнить невозможно, как воинства – с одним бойцом,
Я – тот, кто все вкупе видит: всю окрестность, округ весь, дом.

28 (18)

Надо, чтобы поэт свой труд уважал и оберегал,
Чтобы имел одну любовь, ее ласкал и миловал,
Занимался только ею, восхвалял, чтит и украшал,
Чтоб не желал другой любви, чтоб для нее пел и играл.

29 (19)

Теперь все знайте о том, что ту же самую я хвалю;
Это честь весьма большая, я знаю, себя не срамлю!
Хоть и, словно джик, жестока, она моя жизнь, я люблю;
Ее я ниже восхвалял скрытно, впредь тоже восхваляю.

30 (20)

Скажу о первом миджнурстве: оно избранных лишь уклад,
О нем нелегко говорить – трудно языку найти лад,
Оно дело тех, кто в небе, дает в высоту воспарять,
Кто к нему рвется, предстоит множество обид испытать.

31 (21)

Того миджнурства не поймут даже лучшие из умов,
Язык с ушами устанут от числа о нем мыслей, слов,
О чувствах земных говорю, когда кто плотски жить готов,
Но к высшей любви стремится, не развратная их любовь.

32 [28]

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
 მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა ნყენითა;
 ზოგსა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
 და კვლა ზოგთა ქვეუც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.

33 [29]

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
 სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
 ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
 და ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

34 [30]

ვის ეს ყველა არა სჭირან, არვინ დასთვლის მიჯნურთ თანა,
 შექცევასა მოეშოროს, მათთვის იხოს გულსა დანა,
 მისი კერძი ყველგნით დაწვას, ვარდი აზროს, ნამოს და ნა,
 და ვინცა ესე არ მისმინოს, ვერა ირგოს ვერსით მანა.

35 [31]

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
 მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
 იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
 და ნუ-ვინ გარევეთ ერთმანერთსა, გესმის ჩემი ნაუბარი?

36 [32]

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილნი, მრუში,
 რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
 გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს, თუნდა ქუში;
 და მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაში-მტლუში.

37 [33]

მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
 ნუცა ლხინსა აუზავდეს, ნუცა ჭირსა შეუზარდეს,
 მისთვის დასთმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,
 და ნურა გავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაჰქარდეს.

38 [34]

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
 დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
 ესე მღერასა ბედიტსა ჰგავს ვაჟთა, ყმანვილობასა.
 და კარგი მიჯნური იგია, ვინ იქს სოფლისა თმობასა.

39 [35]

არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,
 თავის-ნინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
 შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით აღვა,
 და დასთმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

32 (22)

«Миджнур», – что значит «безумный», – из арабского пришлось брать,
 А безумствуют от обид по неумению покорять;
 Одни все к Богу стремятся, склонны к тому, чтоб воспарять,
 Другим – лишь бы быть на земле, женщин-кокеток восторгать.

33 (23)

Миджнур должен быть красивым, чтоб горел солнцем, чтоб не тух,
 Чтоб имел мудрость, мужество, богатство, щедрость, здравый дух,
 Веру в победу, терпенье, досуг, ум, скромность, язык, слух.
 Кто этих в целом не обрел, его миджнурский дух потух.

34

Кому это несвойственно, миджнуром и не назовешь,
 Отказавшись веселиться, он сам в себя вонзит вдруг нож,
 Все, что свое, сам опалит, останется без алых роз,
 Кто выслушать не захочет, провалится, чую, насквозь.

35 (24)

Миджнурство есть нрав из добрых, трудно его сущность понять;
 Миджнурство есть иная вещь, к развращенью не приравнять:
 Оно одно – блуд другое, между ними горы стоят,
 Их друг с другом не путайте, это твердо надо всем знать!

36 (25)

Нужен миджнур, которому чужды разврат, порок любой,
 Удалившись от любимой, он впадает в горесть и вой,
 Какая бы не попала – оставаться с нею одной;
 Презираю бессердечность в любви – ласку и «чмок» пустой.

37 (26)

Надо, чтобы любой ценой он первую сдержал любовь,
 Чтоб в отраде думал о ней и был даже к скорби готов,
 Ради нее сбежать в поле, лишиться благ, ласковых слов,
 О потерях не горевать, что б ни было: страна, жизнь, кров.

38 (27)

Пусть миджнур это миджнурством не решается называть:
 Сегодня с одной, а завтра с другой – подружек лишь менять;
 Это походит на игру детей, им лишь бы поиграть, –
 Тот миджнур лучше, который решил за любовь жизнь отдать.

39 (28)

Есть миджнурство отменное, тайна – главный признак его:
 Наедине думать о ней, сторониться мира сего,
 Вдали скорбеть, вдали гореть, вдали пылать ради нее,
 Терпеть укор от любимой, бояться и беречь ее.

40 [36]

ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვის თანა ამჟღავნებდეს,
 არ ბედითად „ჰაი“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
 არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
 და მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

41 [37]

გაასწავლნე სურვილითა, ვინცა იწვით ვისგან ვინა;
 კვლავ ქებანი ვჰკადრენ ვის მე, არვის უთქმან ჩემგან წინა;
 ისპად მოსომახოს მსგავსი არ დავაცდენ ვისცა მინა,
 და მისთვის ვლექსობ სიტურფითა, ვინ შუქთა ჰფენს ხმელთა შინა.

42 [38]

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩივნოს?
 ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს.
 რათამელა ასახელოს, რა სიტყვითა მოაყივნოს?
 და რა გავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს!

43 [39]

მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა:
 ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარსა, მისთვის წყლულსა?!
 თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?!
 და ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

44 [39']

რადგან კაცსა სიყვარული საყვარლისა ვერ ეთმობის,
 მისთვის მოსთქვამს მარად დღისით, მისთვის ყველას მიენდობის,
 მაშ რად გიკვირთ შეფერება, რადგანც ისი გულს ეგრძნობის?
 და თავი მისთვის გაუწირავს, მისთვის სიკვდილსაც ეხმობის.

45 [40]

თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;
 სიარული, მარტოება შვენის, გაჭრად დაეთვლების;
 იგონებდეს, მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლების;
 და არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცთა ეახლების.

46 [40']

ჰე ღმერთო, შენგან იქების საქმე ყოვლისა ტანისა,
 შენ ხარ ჩვენ არსთა სიმაღლე, სიმდაბლე, სიბრტყვე განისა,
 ზე ანგელოზთა სიმაღლე, ჩამგდები ქვე სატანისა;
 და ვერ გიტყვის ძალი ენისა, გონება ხელოვანისა.

40 (29)

Надо, чтобы своей тайны он никому не сообщал,
Не позорил любимую, не стонал и не горевал,
Не проявлял, что он миджнур, другой любви не признавал,
Ради нее чтоб шел в огонь и за радость скорбь принимал.

41

Вы любовью измучены, каждый ею схвачен, горит;
Я вновь дерзнул ту же воспеть, – я первым стал ее хвалить, –
Я, как Испад Мосомахо, способен цель точно разить,
Стихи я той посвящаю, чьим светом весь мир сей залит.

42 (30)

Как разумный доверится, любимую кто выдает?
А какая ему польза, коль обоим не повезет,
Чем же ее он прославит, грязью ее, коль обольет?
Разве трудно, чтобы он ей не причинял болей, невзгод?

43 (31)

Удивляюсь, тот иль иной, как настоят на любви к ней:
Если любит, зачем тогда унижает и вредит ей?!
Коль не любит, пускай презрит, зачем мерзко поступать с ней?!
Злой человек склонен ведь к злу: чем зла больше, тем он смиренней.

44

Так как трудно человеку отступить, забыть любовь,
По ней плачет постоянно, довериться он всем готов.
А зачем же дивитесь, вы, коль усмирит тем сердце, кровь?
Он рискует, ради нее оказаться средь мертвецов.

45 (32)

Коль друг плачет по любимой, подобный плач надо признать,
Его красит то, что един, это равно – с дома сбежать;
Думать о ней, кроме нее ни с кем дружбы не заключать,
Хранить в тайне, что он миджнур, так лучше, раз пришлось им стать.

46

Боже, Тобою славится все то, чем богат этот мир,
Ты есть вершина всех земных, красота, разум, глубь и ширь,
Держишь ангелов, бросаешь сатану в бездну, вниз, в пустырь,
Не описывать Твой образ даже владельцу лиры лир.

ამბავი როსტევეან არაბთა მეფისა

47 [41]

მ

ყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მონყალე, მორჭმული, განგებიანი,
და თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

48 [42]

იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევეანისი;
მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი;
უძრწის და მონებს ყოველი, ხელთა აქვს მას საბრძანისი;
და თქვეს თუ: „ხამს ხმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ისი“.

49 [43]

ანყა დავიწყით ამბავი მის ხელმწიფისა ზენისა:
არაბეთს როსტენ პატრონი, მპყრობელი სპა-მოსპენისა;
მას ესვა ქალი მნათობი თვალთათ თუთია დენისა,
და შემხედთა სულის ნამღები, ვერ მხედთა ამაგზენისა.

50 [44]

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭვრეტთა ნაულის გული, გონება და სული,
და ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად დასული.

51 [45]

მისი სახელი – თინათინ, არს ესე საცოდნარია!
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან სანუნარია.
მეფემან უხმნა ვაზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია,
და გვერდსა დაისხნა, დაუნყო მათ ამო საუბნარია.

52 [46]

როსტევეან უხმნა ვაზირნი, უბრძანებს თუცა ფარულად:
„მე ძე არ მომცა სოფელმან, კიდევც მისთვის ვარ მალულად,
ამ ჩემთა სპათა თავადად, შემტევებელი ქარულად,
და მოლხინე-მოასპარეზედ, გამთენებელი დარულად“.

53 [47]

უბრძანა: „გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:
რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;
და მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ, ღამესა უმთენაროსა.

СКАЗ ОБ АРАБСКОМ ЦАРЕ РОСТЕВАНЕ

47 (33)

Был арабский царь Ростеван Богом счастливецом рожденный,
Владелец тьмы войск, вассалов, высокий, щедрый, прескромный,
Величественный, упорный, жизнерадостный, праведный,
Отличный воин, оратор красноречивый, задорный.

48

Верно, правил царь Ростеван арабским царством тех времен;
Он имел также Персию, как Шанш – анийский край и трон;
Всех на колени поставил, люди шли к нему на поклон;
Владыкой мира должен быть или Александр, или он.

49

Так, приступим же к рассказу о государе великом:
О Ростеване, владевшем арабской землей и войском;
У него была дочь-луна с приятнейшим для глаз ликом,
Все возгорались, как-нибудь взглянуть на нее, хоть мигом.

50 (34)

Царь много чада не имел, одной дочери отцом был,
Мир свет от нее получал и была главным из светил;
Если кто видел царевну, никак глаз с нее не сводил,
Обычный язык не в силах – чтоб ее мудрец похвалил.

51 (35)

Имя царевны – Тинатин, это надо нам помнить всем!
Когда созрела, солнца уж не признавала та совсем.
Царь, созвав своих визирей, уселся с ними рядом с тем,
Чтобы обсудить, разобрать одну из весьма важных тем.

52

Ростеван сказал визирям снисходительно и тайком:
«Всевышний не дал мне сына, – потому хожу я молчком, –
Который б водил воинов, был всемогущим молодцом,
Весело играл и кутил, как солнце, светил дворец, дом».

53 (36)

И велел: «Решим совместно вопрос насущный мы такой:
Как цветок розы завянет, на второй же день он сухой,
Разумеется, погибнет, но появится там другой;
Уж закатилось солнышко, сидим в темноте мы ночной,

54 [47¹]

კაცი უმზეოდ ბრალია, თუმცა შეეპყრას ჩრდილოსა,
 თქვენ იცით, რომე ჭმუნვას ვარ ძნელსა, არ საადვილოსა,
 მე ძე არა მყავს, ქალია მართ ჩემსა საგაზრდილოსა,
 და ასრე მით მხედავთ, მუნ ვიტყვი სიტყვასა საღრეჯილოსა.

55 [48]

მე გარდასრულ ვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
 დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;
 რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
 და ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე სანუნელია!“

56 [49]

ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?
 ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს აზომცა ჯერობა:
 მისივე მეტობს ყოველსა სული და ტურფაფერობა.
 და მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!“

57 [50]

ერთობ დაშალეს ვაზირთა, მაგრამ ვინ მოუსმინებდა,
 მეფე ლალი და უკადრი, იგი ქნის, რაცა ინებდა.
 თინათინ დასვეს ხელმწიფედ, ვინ მზესა ითვალუნებდა.
 და ვინ სალსა კლდესა დაადნობს და ცვილსა გაატინებდა.

58 [51]

„მაგას ნუ ჰბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია,
 თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია;
 ხმდა განაღამცა საქმელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია:
 და სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია!“

59 [52]

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
 არ გათნვეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
 შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
 და ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

60 [53]

მას ლომსა კაცი იახლა მეფისა, ვეფხს უფიცხეო:
 დავასკვენ ესე თათბირი, სრულ სპათა ჩემთა ვჰკითხეო,
 მე ჩემთა სივაჟკაცეთა ჩემნი მებრძოლნი ვითხეო;
 და ან შენცა გნუკევ, ურწყავად ალვისა მორჩი ითხეო.

61 [54]

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
 საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
 ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინად საცნობარისა;
 და მას თინათინის შვენება ჰკლვიდის, წამნამთა ჯარისა.

54

Жалок человек без солнца, сразу же свиснет тень над ним,
Вы все знаете, есть вопрос труднорешимый мной одним,
Имею лишь дочь, сына нет, это известно вам самим,
Потому и вам кажется мой совет таким печальным.

55 (37)

Я отжил свой век, постарел, а старость хуже всех невзгод,
Умру сегодня иль завтра, ведь так устроен весь наш род;
Каков же тот свет, который полон тьмы прочих непогод?!
На трон дочь мою посадим, кто краше солнца, луны, звезд».

56 (38)

«О, царь наш, зачем дерзнули, что вы на склоне своих дней?
Пусть высыхает роза, ведь все равно будем верить ей:
Цвет ее нежен и красен, и запаху так много в ней.
Будь луна даже ущербной, звезда как смеет вражду с ней?»

57

Не поддержали визири, но он их слушать не хотел,
Своевольный и гордый царь сам решал судьбы своих дел.
Царицей стала Тинатин, кто соперничать, с солнцем смел.
Кто утес, как воск расплавит, а воск превратить в сталь умел.

58 (39)

«Царь наш, – все-таки дерзнули, – роза все пахнет и цветет,
К вашей сноровке чужая даже близко не подойдет;
Следовало бы говорить у вас на сердце, коль скребет:
Что ж, той отдайте свой престол, кто сумел солнце побороть!»

59 (40)

Она – женщина, царицей истинно Богом рождена;
Царствовать она умеет, не лицемерим, мысль верна;
Ее способность управлять, как солнце, видна и ясна.
Детеныши льва друг другу равны, будь им он, иль она».

60

К той львице прибыл от царя расторопный, как тигр, гонец.
«Ты уж на троне, согласно воинство, – писал ей отец, –
Мной беспредельно напуган любой противник и шельмец;
И ты так делай, покори росток тополя, мой птенец».

61 (41)

Спасетом был там Автандил, сын начальника войск страны,
Станом статный, как кипарис, двойник солнышка и луны,
Еще борода не пошла, он бел, с хрусталем и сравни;
Ему ресницы Тинатин мучили сердце, жгли они.

62 [55]

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
 რა მოშორდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად;
 ნახის, ცეცხლი გაუახლდის, ნყლული გახდის უფრო ნყლულად.
 და საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქს გულ-მოკლულად!

63 [56]

რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
 ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა;
 თქვა: „ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
 და ნუთუ ვით ვპოვო ნამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა!“

64 [57]

ავთანდილს მისით შორს ყოფით შეეკრა თვალნი ბლეტითა;
 იამა ქალის მეფობა სიხარულითა მეტითა;
 იტყვის: „ხანდახან საუბრად მივალ გულითა რეტითა,
 და კვლა ზედა-ზედა შევხედავ, ვალხინებ თვალთა ქვრეტითა“.

65 [58]

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
 „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
 მან გაანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
 და მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“

66 [59]

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:
 ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
 ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
 და მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!“

67 [59']

კვლა მოახსენეს: „მეფეო, ვქენით, რაც გიამებისა,
 ღმერთმან ნიადაგ ეგრე ყოს საქმე თქვენისა ნებისა;
 ჩვენ ტახტი დავდგით, სიკეთე ვით ითქმის, ან შვენებისა?
 და შორით მოვხვიეთ ფარდაგი, ზარქაში ატლასებისა.“

68 [60]

ადეგ, როსტან, შენსა მზესა, ხელით ხელსა მოეკიდე“.
 მის საბოძვრის მისათვალვად მიზიდავს და მიჰყავს კიდე: –
 „დავბერდი და დავძაბუნდი, მე დღეთავე ჩემსა ვსთვლიდე,
 და რაც შევცოდე შემოქმედსა, ვიტურო და ვინანიდე“.

69 [61]

„უკუვდგე ერთსა ადგილსა, დავინყო გარდახდილობა“.
 უბრძანა სრულთა არაბთა, შეჰკადრეს მილოცვილობა.
 „შენ ჩემთა საჭურჭლეთათვის ნუ შეგაქს გულსა ცილობა,
 და კვლა ზედა-ზედა შევიგნა მე შენი არ-მოშლილობა“.

62 (42)

Любовь к ней он в сердце скрывал, не разглашал, хранил тайком;
Отдалившись от любимой, скучал, ходил с бледным лицом;
Увидев, боль нарастала, рана больше жгла злым огнем.
Жалко тех, кто в любви гибнет, слабеет всем сердцем, умом.

63 (43)

Как царь дочь свою милую ставить царицей приказал,
Автандил вздохнул приятно, всю болезнь с себя он согнал;
«Часто с Тинатин увижусь», – мысленно себе отчет дал,
И обстановку всю эту своим лекарством он назвал.

64

Будучи вдали от нее, хмурился, скучал Автандил;
Престол любимой девицы его в счастливца обратил;
«Порой общаться зайду к ней, за кого себя заморил,
Глазам приятность доставлю», – про себя так он говорил.

65 (44)

По Аравии дал приказ арабский патрон-удалец:
«Мою Тинатин царицей поставил лично я – отец;
Пусть она светит, как солнце, землю: город, дом и дворец.
Все приходите, смотрите: художник, поэт и певец!»

66 (45)

Съехались к нему арабы, собралась куча его свит,
Автандил – глава тьмы бойцов, отличный воин и спасет,
Там визирь Сограт, с ним вместе полный визирский кабинет;
Такой прием был устроен, все говорили: «Цены нет!»

67

Вновь молвят: «Царь, все сделано так, чтоб вам больше угодить,
Дай бог, чтоб дела приняли признанный вами образ, вид;
Трон поставили шикарный, легко ли его оценить?
Полы покрыты паласом, чертог атласом весь увит.

68

«Вставай, Ростан, пожалуйста, и за руку веди ее».
Он ведет, чтоб лично узнать с подарками, как у нее: –
«Я постарел, я уже дряхл, скоро лишусь мира сего,
Перед Творцом каюсь я в том, что согрешил против Него».

69

«На одном месте стану и приму подарки», – он сказал, –
Аравитянам подал знак, дарил каждый, кто входил в зал.
«С моей кладовой чтобы ты и ныне честно поступал,
Чтоб убедился я в том, что данное слово ты сдержал».

70 [62]

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.

და ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა ბრძნად მხედველითა.

71 [63]

უკუდგეს და თავყანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ხმათა.

და ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა.

72 [64]

მამისა ტახტსა საჯდომლად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწვრთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,

და ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამეცებოდა“.

73 [65']

მერმე მოვიდნეს ლაშქარნი, მის მზისა დამლოცველია,
რომე აივსო სრულობით მინდორი, მთა და ველია;
პირველად წადგა ავთანდილ, სოგრატ მას თანა მგლეელია;

და გარდააყარეს გუარი, სთქვა: „ნიჩბით დასაგველია!“

74 [65]

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენია მართ მონდობილი.

და ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!

75 [66]

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგენწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.

და უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.

76 [66']

უთრუთ, საამ, ზაალ, როსტომ, აიოზ და სალიმ, თურა, –
ვერც მათ იპყრეს ეს სოფელი, დაემართა, იცი თუ რა? –
კაცს ეჭიროს კარგი საქმე ხელთა, ქორსა ვითა თურა,

და არ დაიგმოს მოყვრისაგან, ათქმევინოს, რა ქნა თუ რა.

77 [67]

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!

და რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია!“

70 (46)

За руку ведет Тинатин с открытой душой сам отец,
Посадив, надел девице собственноручно свой венец,
Одел в цареву одежду, вручил жезл, – она молодец, –
Дочь на все смотрит, как солнце. В целом выглядит, как мудрец.

71 (47)

Отступив, все поклонились: и царь, и все его войска,
Поздравив, ей сдали царство, хвала ее часта, громка,
От вдвух труб и кимвалов полно было там голоса.
Дева плачет и льет слезы, склонила вниз оба глазка.

72 (48)

Не находила правильным, занять отцово место, трон,
Потому плачет, как будто не одобрила та закон;
«Отца меняют сын, иль дочь, – милую свою учит он, –
Если б этого не сделал, кто б мне потушил злой огонь?!»

73

Потом прибыла тьма людей, солнцеликую поздравлять,
Переполнены целиком горы, равнины и весь град;
Раньше всех предстал Автандил, с ним находился сам Сограт;
Драгоценности сыплют все, кричат: «Лопатой лишь сгребать!»

74 (49)

Приказал: «Не плачь, дочь моя, слушай, запомни наказ мой:
Ты – Аравии царица, поставленная лично мной,
Отныне царство целиком вверена тебе лишь одной,
Прояви мудрость и скромность, усовершенствуй разум свой!»

75 (50)

Солнце на розы и навоз лучи равно же пускает,
И ты не жалеи, ведь царь всем добра поровну желает!
Так отвязанных привяжешь, кто привязан, уж пусть стоит.
Щедро раздавай, ведь с моря вытекает и втекает.

76

Утрут, Саам, Заал, Ростом, Тура, Салим и Аиоз, –
Мир и те не покорили, знать, почему им так пришлось?
Человеку держать дело, как меч, крепче, четче, всерьез,
Чтоб друг не крыл: «Что он сделал, дело его пошло уж врозь.

77 (51)

Щедрость свойственна всем царям, как раю – милый вид и цвет;
Щедрому любой покорен, и тот, кто расторг свой обет;
В угоду себе пить, и есть, в накоплении пользы нет:
Что отдашь – твое, не отдашь – пропадет, надо ж разуметь».

78 [68]

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
 ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;
 მეფე სმასა და მღერასა იქს, მეტად მოილხინებდა;
 და თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა.

79 [68']

ან ნახეთ მეფე თინათინ და მისთა შუქთა შუქობა,
 რომე მისებრივ სიუხვე ბუქსა თუ ჰქონდა ბუქობა!
 მათ იმა დღისა მნახავსა არსად ეთქმოდა უქობა,
 და მასცა ზარქაში ემოსა, ვის ჰქონდა მებალდუქობა.

80 [69]

რა გადიდდა ნადიმობა, დაატკობდეს ჩანგი ხმასა;
 მათ ტურფათა სანახავად ჯარი მოდგის ბანის-ბანსა;
 ბულბული და იადონი იზახოდეს მულღანზარსა;
 და თავის-მსმელთა დავლიოთო, ძალი მისცეს ღვინის სმასა.

81 [70]

მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
 უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
 მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი!“
 და მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

82 [71]

მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,
 რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
 მერმე ბრძანა: „ვიქ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
 და ჩემსა ნუვინ ნუ დამალავს საჭურჭლესა დადებულსა!“

83 [72]

უბრძანა: „ნადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
 ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!“
 მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
 და ლარსა ხვეტიდინ ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

84 [73]

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
 მას ტაიქსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა,
 რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
 და არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა.

85 [74]

მის ჯარისა სიხარული მე გიამბო ამად კიდა:
 რა გარდახდა ოდენ ჭამა, ხელმწიფემან თავი ჰკიდა;
 ავთანდილ და სოგრატ ჰკვირან, ნეტარ რა, ვთქვათ, წაეკიდა?
 და საჭურჭლეთა გარდაგება დაუმძიმდა მეტად კიდა.

78 (52)

Эти отцовы советы мудро слушала дочь подряд,
Выслушивала, внимала, не оторвав от него взгляд;
Царь занимался пиршеством, веселился, был очень рад,
Тинатин солнцу кривилась, солнце старалось ею стать.

79

Глянь на царицу Тинатин, светом озарен ее стан,
Она щедростью богаче, чем снегом метель иль буран,
Кто это видел, тому дню он достойную отдаст дань,
В золотую ткань оделся и тот, который носил рвань.

80

Как пиршество разгорелось, заиграли чанги бурно,
Чтоб увидеть миловидных, вышли всюду люди шумно,
А соловьи разных видов пели «Песню розы» дружно,
«Пьем!» – Кричали любители, пили, сколько было нужно.

81 (53)

Ей воспитатель был вызван – верный наставник и друг свой,
«Открой же казну, – велела, – все, что собрано мне тобой,
Поддай-ка сюда богатства, что принадлежит мне одной!»
Достал. Раздала так много, не счел б казначей неплохой.

82 (54)

За все детство что копилось, за один день и отдает,
Заправила всех богатством – бедным, знатным, всяким везет.
«Исполняю отцов наказ, знаю, это к добру ведет,
Не дай бог, что сокровище под запор кто перенесет!»

83 (55)

Велела: «Срочно откройте склады, сколько есть таковых!
Шталмейстер, сюда пригони жеребцов, коней ездовых!»
Все исполнили. Раздала множество вещей дорогих,
Кладов хватало, воины, словно пираты, гребли их.

84 (56)

Расхитили все, что было, беззаботно, словно трофей,
Разобрали всех арабских откормленных, тучных коней,
По щедрости походила на метели морозных дней;
Подарками заправила буквально всех девиц, парней.

85

Радость людей, сидящих там, разрушилась, расскажу, чем:
Как миновал пир, государь понурился, виден был всем;
Автандил и Сограт диву дались, что с ним? Знать бы зачем?
Истощенье сокровищниц расстроило его совсем.

86 [75]

დღე ერთ გარდახდა პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.

და „ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?“ – შექმნეს ამისი ცილობა.

87 [76]

თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტთაგან მოსანდომია,
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია;
ვაზირი ბერი სოგრატი თვით მას თანავე მჯდომია.

და თქვეს, თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია?“

88 [77]

თქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“.

ავთანდილ თქვა: „სოგრატი, ვჰკითხოთ, გვითხრას, ვინმცა შეგვეცილა?“

და ვჰკადროთ რამე სალალობო, რასათვისმცა გაგვანზილა?“

89 [77']

თინათინს ჰკადრეს იდუმალ: „მეფეს რაცალა სწყენიან,
ჩვენვე ვანყინეთ, ვიშიშვით და ამაღ დიდად გვრცხვენიან.
თუ ბრძანებთ, ვჰკითხავთ, რა უმძიმს, შუქი მზებრ აღარ ჰფენიან“;

და უბრძანა: „ჰკითხოს ვეზირმან, ტურფა სიტყვამან, ენიან“.

90 [78]

ადგეს სოგრატი და ავთანდილ ტანითა მით კენართა,
თითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნართა,
წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინართა.

და ვაზირი ლალობს ენითა, წყლიანად მოუბნართა:

91 [79]

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო.

მართალ ხარ: ნახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო;

და ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო?“

92 [80]

რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხედნა,

გაუკვირდა: ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა?!

„კარგა ჰქმენო, – დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა, –

და ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუვის, ვინცა დაიყბედნა!“

93 [81]

მეფემან ბრძანა: „მიფიცავს, ვირცხვი ამისსა თხრობასა.

გამცინოთ, არად ამოვჰკრეფ, ვერვინ მიზრახავთ თხრობასა.

შვილი არა მყავს, მუნ მხედავთ, ვეცი ლახვართა სობასა,

და მოასპარეზედ გამენვრთნა, სწავლიდეს მშვილდოსნობასა.

86 (57)

Прошел день, в зале гремел пир, еда, фрукты всем в угоду,
Пиршествовало воинство, было там много народу.
Уныло склонил голову царь, испытывал невзгоду.
«Что могло его тяготить?» – Переспросили все сходу.

87 (58)

Во главе сидит Автандил с приятным станом и лицом,
Спадет воинов проворный, сравнимый с тигром или львом;
Сам старец Сограт, визирь, там, с ним рядом сидит за столом.
«Зачем побледнел? – спросили, – что-то не ладно с королем?»

88 (59)

Сказали, что царь, видимо, в какую-то немилость впал,
А то скорби подходящей никто ему не причинял.
«Сограт, спросим, в чем причина, – вдруг Автандил старцу сказал, –
Держнем, нечто шуточное, чтоб он с себя печаль согнал».

89

Тайно донесли Тинатин: «Кто-то обидел ведь царя,
Мы что ль нанесли обиду! Нам стыдно, честно говоря.
Коль прикажете, мы спросим. Луч солнца мрачен ведь не зря»;
«Пусть визирь спросит, – велела, – свой нежный язык шевеля».

90 (60)

Автандил, телом прекрасный, и визирь Сограт вдруг встали,
Наполнив себе стаканы, пошли, и кротко предстали,
Преклонились и уселись. Лица улыбкой блистали.
Вольные шутки визиря красноречиво звучали:

91 (61)

«Ты соскучился, государь, угрюм и мрачен весь лик твой.
Ты прав, разорен в целом клад твой богатый и дорогой,
Дочь твоя щедро раздает с открытой душой и рукой;
Зачем сдал ей трон, чем навлек на себя недуг ты такой?»

92 (62)

Услышав, царь улыбнулся и на него обратил взор,
Удивился: «Как позволил мне такое? Какой позор!
Все хорошо, – похвалил дочь, – о милостях ни с кем не спорь!
Кто сказал, что я жаден, скуп, тот, конечно, наболтал вздор!»

93

Царь сказал: «Клянусь, об этом, что-нибудь сказать, я стыжусь!
Коль посмеетесь, не вспыхну – повода не дам, что я трус.
Сами видите, сына нет, за что, печальным я кажусь,
Его бы к играм приучил – к лучному делу – в чем гожусь».

94 [82]

ეგე არ მიმიძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმანვილისა დღენია;
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
და რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“.

95 [83]

როსტან დაბერდა, გაუშვებს პურობა-დარბაზებართა,
მაგრამ მისებრი ვის ძალ-უც სწავლა სოფლისა ზნებართა,
მშვილდოსნად მსგავსი გმირისა, მობურთლად, მომტაცებართა,
და ცოტასა შეჰგავს მშვილდოსნად ლალი ავთანდილ, მზე ბართა.

96 [84]

„ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, – ვარ სანუთროსა გმობითა, –
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუცა მობურთლობითა;
და ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

97 [85]

ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,
თავმოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,
თეთრთა კბილთა გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
და მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდა?“

98 [86]

მეფემან ბრძანა სიცილით, კვლა მოლიზლარეთ ზმებია;
ავთანდილ ქვეშ-ქვეშ იცინის, არ ავად პირ-აღრებია;
მეფემან უთხრა: „რას ღრიშობ, გაფიცე ჩემი მზებია,
და თუ ჩემი თავი გიყვარდეს, მიამბე, რასა სწებია“.

99 [87]

კვლა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იცინი, რა დამგმეო?“
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო,
რაცა გკადრო, არ გენყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო,
და არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო“.

100 [88]

ავთანდილ ჰკადრებს: „საჭურჭლით სავსე მაქვს დარბაზებია;
შეგკადრო, არ გამირისხდე, მიწყრომო, არ დავრჩებია.
გული პირ-მზემან წამილო, ვის, ვაგლახ, ვისს თავს ვებია,
და თუ გამიწყრები, ყველაი თქვენს წინა მონაღებია“.

101 [89]

უბრძანა, თუ: „მისმან მზემან, რაცა გინდა, იგი თქვიო:
შენი თხრობა რად მენყინოს, მოცინარად აქა ვზიო.
შენგან არა მენყინების, რაცა მკადრო, მოგისმიო,
და არას განყენ, თავმან ჩემმან, ვარდი შენი არ ვაჭკმიო“.

94 (63)

То не тяготит, мой визирь, вот какой недуг у царя:
Постарел, свое я отжил, скоро наступит конец дня;
По всему царству нашему не вижу таких мужчин я,
Которые бы учились военным делам у меня».

95

Больно постарел Ростеван, реже стал ходить на пиры,
Но подобного знатока не знали люди той поры,
Отличный игрок и стрелок, Бог дал все блага и дары,
Несколько похож Автандил, кто светлей солнца и зари.

96 (64)

«Одну дочь всего имею, ее изнежил и ласкал;
Я не доволен судьбою – ведь Господь сына мне не дал,
Чтоб стрелял, как я, из лука, и чтоб успешно в мяч играл;
Чуть подходит мне Автандил, и то тем, что я воспитал».

97 (65)

Витязь слушал внимательно, запоминал слова царя,
Опустил он голову и улыбнулся, словно заря,
Беленькие его зубы освещали луга, поля.
Царь витязя спрашивает: «Стесняешься что ли меня?»

98

Царь, смеясь, сказал: «Все это на лицемерье походит»;
Автандил скрытно смеется: «Как это смогу позволить!»
«Чего ты дерзишь, – царь сказал, – на что твоя мысль наводит?
Коль уважаешь ты меня, скажи, что тебя тревожит?»

99 (66)

Царь добавил: «Что ты, милый, издеваться стал надо мной?»
Витязь дерзнул: «Все расскажу, коль прощено будет тобой,
Но, попрошу, не гневаться, постарайся владеть собой,
Не принимай за нечестье, не ущемляй престиж ты мой».

100

Автандил молвит: «У меня клада полные чертоги;
Коль дерзну, не злись, иначе убегу я в край далекий.
Сердце отняло солнце, я навлек на себя вой тяжкий,
Больше не сердись на меня, я весь ваш, о царь великий».

101

Ему сказал: «Пожалуйста, говори мне все, что надо:
Твои слова не обидят, видишь, смеюсь, сидя рядом.
Не обижусь. Что ты скажешь, послушаю, мое злато,
Твоей розе не дам блекнуть, не обижу тебя, ладно».

102 [90]

უბრძანა: „რადმცა ვინყინე თქმა შენგან საწყინარისა!“

ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.

ავთანდილ იტყვის: „დავინყო კადრება საუბნარისა:

და ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა“.

103 [91]

